პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 277 (9745) | სამშაბათი, 24 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — დავაჩქაროთ სახალხო მოხმარების საქონლის ტვირთზიდვა (მე-2 გვერდი).
საქართველოს მეფეხსაცმელეთა დელეგაცია მოსკოვში (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — რაიონული გაზეთი და მტს-ი (მე-2 გვერდი).
კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტრიბუნა. — მეცხვარეობა ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყაროა (მე-2 გვერდი).
მივაწოდოთ მომხმარებელს მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტები. — როცა ნაკლოვანებებს ურიგდებიან... (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას. — [illegible] ნეებს განათება? ისევ საგაზეთო [illegible] ლავს უნდა ჰქონდეს კარგი კინო[illegible] (მე-3 [illegible]).
ლ. ბაგრატიონი. — „საუკეთესო გარეჯელი“ (მე-3 გვერდი).
საბჭოთა ბუქსირ „ხრაბროს“ კაპიტნის ე. ი. ზაიმნიკოვის ცნობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უფრო მეჯად ვიზრუნოთ სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურებისათვის

საკოლმეურნეო წყობილებამ ძირეულად გარდაქმნა მილიონობით გლეხის წარმოებისა და ყოფაცხოვრების საფუძვლები, შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო გზა გაუხსნა საბჭოთა სოფლის ყველა მშრომელს. შექმნილია სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა — კლუბების, ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოების ფართო ქსელი, საბჭოთა სოფლის ყოფაცხოვრებაში კინო და რადიო დამკვიდრდა, წიგნი მილიონობით კოლმეურნის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა.

მაგრამ არასწორი და მავნე იქნება დავკმაყოფილდეთ სოფლის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში მიღწეული წარმატებებით. ეს წარმატებანი მართლაც დიდი, მაგრამ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად კოლმეურნეთა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურული მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება და ამ მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მუდმივი მოვალეობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა თავის დადგენილებაში „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სოფლად ამაღლდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, გაცხოველდეს კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობა, რეგულარულად მოეწყოს კინოფილმების დემონსტრაცია, გაძლიერდეს სოფლის რადიოფიკაცია და გაუმჯობესდეს რადიომაუწყებლობის ხარისხი.

პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს და მტკიცედ ახორციელებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზულ პროგრამას. სასოფლო რაიონების პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ფართო მასებს და გაუძღვნენ მათ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად. ამისათვის საჭიროა ყოველი ღონისძიებით გაძლიერდეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში. სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ქოხ-სამკითხველოები — ამ მუშაობის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტებია.

ავიღოთ, მაგალითად, საბჭოთა აგროტექნიკის მიღწევების პროპაგანდა, მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გამოცდილების გავრცელება. სოფლის კულტურის სახლებსა და კლუბებს აქ უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვთ. მხოლოდ საჭიროა ინიციატივა, მხოლოდ საჭიროა ნამდვილი სიყვარული საქმისადმი!

მეცნიერის და ნოვატორ-პრაქტიკოსის ლექცია, სასოფლო-სამეურნეო კინოფილმის ჩვენება, კარგი, სასარგებლო წიგნის კოლექტიური წაკითხვა და განხილვა, ლიტერატურის გამოფენა — პროპაგანდის ყველა საშუალება შეიძლება გამოიყენოს და კიდევაც უნდა გამოიყენოს სასოფლო კლუბმა ან ქოხ-სამკითხველომ იმისათვის, რომ მოწინავე გამოცდილება გააცნოს ყველა კოლმეურნეს, დაეხმაროს ჩამორჩენილებს მიბაძონ ამ გამოცდილებას და ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე.

განუზომლად გაიზარდა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის ინტელიგენციის კულტურული მოთხოვნილებანი. სოფლის მშრომელებს სურთ თავიანთ კლუბში ჰქონდეთ ახალი ჟურნალ-გაზეთები, ახალი საბჭოთა ლიტერატურა, მოისმინონ კვალიფიციური ლექცია, ესაუბრონ აგრონომს ან ინჟინერს, მასწავლებელს ან ექიმს, გაიგონ საერთაშორისო ცხოვრების უკანასკნელი ამბები. ნახონ ახალი პიესა და კინოფილმი, მონაწილეობა მიიღონ მხატვრული თვითმოქმედების წრეში, მოისმინონ კარგი კონცერტი რადიოთი. ეს კანონიერი და ელემენტარული მოთხოვნებია, რომლებიც შეიძლება დაკმაყოფილდეს და კიდევაც უნდა დაკმაყოფილდეს. სამწუხაროდ, ყველა სასოფლო კლუბი როდი აკმაყოფილებს მათ.

„პრავდის“ სარედაქციო ფოსტაში არის კოლმეურნეთა, სპეციალისტთა, სოფლის ინტელიგენციის მრავალი წერილი, რომლებშიც ისინი გულისტკივილით წერენ უწესრიგობაზე სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. მაგალითად, ამბ. ლუკიჩოვი წერს, რომ ვოლოგდის ოლქის ბირიაკოვოს რაიონში რაიონული ბიბლიოთეკა მოთავსებულია ძველ, ნახევრადდანგრეულ შენობაში, კლუბში ცივა, სიბინძურეა, მინები ჩამტვრეულია, მათ მაგივრად ჩასმულია ფანერა. ვინ მოისურვებს ასეთ კლუბში წასვლას, რა კულტურული დასვენება შეიძლება იყოს იქ? ამბ. სენინი რიაზანის ოლქის კასიმოვის რაიონის სოფელ ნიკოლაევსკოედან აყენებს კანონიერ კითხვას: „რატომ უხდებათ ჩვენი სოფლის ახალგაზრდა კოლმეურნეებს საკლუბო საღამოებზე სიარული სხვა სოფელში, ხოლო საკუთარი კლუბი ნიკოლაევსკოეში არ არის?“. ხოლო ჩუვაშეთის ასსრ სოფელ კარაბაშში კლუბი არის, მაგრამ რა აზრი აქვს მის არსებობას, თუ იგი, როგორც რედაქციას ამბ. ვაშავატი სწერს, ყოველთვის დაკეტილია: კოლმეურნეები მოდიან, მიაწვებიან დაკეტილ კარს და ისევ შინ ბრუნდებიან.

ასეთი წერილები ცოტა როდია. ისინი მოწმობენ, რომ ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია ჯეროვნად ვერ აფასებს მოსახლეობის პოლიტიკური განათლებისა და კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალების — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის როლსა და მნიშვნელობას.

ზემოთ მოყვანილი იყო ვოლოგდის ოლქის მკითხველის წერილი. როგორც ფაქტები მოწმობენ, მდგომარეობა, რომელზეც ლაპარაკია ამ წერილში, მარტო ბირიაკოვოს რაიონისათვის როდია დამახასიათებელი: ვოლოგდის ოლქის 767 სასოფლო კლუბიდან და ქოხ-სამკითხველოდან 527 მოთავსებულია სასოფლო საბჭოების გასავლელ ოთახებში და კერძო სახლებში. უკიდურესად უყურადღებოდ არის მიტოვებული სასოფლო კლუბები კურსკის ოლქის ვოლოვოს, გრაივორონის, პონორისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში: კლუბები ჭუჭყიანია, ცარიელია, ზამთარში იქ ცივა. როდემდის შეურიგდებიან პარტიის ვოლოგდისა და კურსკის საოლქო კომიტეტები და საოლქო აღმასკომები ასეთ მდგომარეობას, როდემდის მიიჩნევენ მესამეხარისხოვან საქმედ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას?

უდიდესია კოლმეურნეთა ფართო მასების მისწრაფება კულტურისადმი. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით უნდა უჭერდნენ მხარს ამ მისწრაფებას, უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება მუშაობდეს სანიმუშოდ, რომ ამ დაწესებულებათა ქსელი განუწყვეტლივ იზრდებოდეს. მეხუთე ხუთწლედის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ საკლუბო ქსელის ზრდას 15 პროცენტით და ბიბლიოთეკების ქსელისა — 30 პროცენტით. საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ მთელი სახსრები, რაც გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტებით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, იხარჯებოდეს დანიშნულებისამებრ და მაქსიმალური ეფექტით. მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფა შეუძლიათ და ხალხისთაც გამოპყოფენ თვით კოლმეურნეობები: ბევრი მათგანი ეკონომიურად იმდენად გამაგრდა, რომ ამის სრული შესაძლებლობა აქვს. ხოლოდ საჭიროა მოვაწყოთ საქმე, მხარი დავუჭიროთ ინიციატივას. ამავე დროს, კოლმეურნეობათა გამსხვილების განხორციელებისას, ზოგან შეამცირეს კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, დახურეს ზოგიერთი კლუბი, ქოხ-სამკითხველო და ბიბლიოთეკა. ცხადია, რომ ასეთი პრაქტიკა სრულიად შეუწყნარებელია: კი არ უნდა შევამციროთ, არამედ ყოველი ღონისძიებით უნდა გავაფართოოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი სოფლად, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ კოლმეურნეთა კულტურული მოთხოვნილებანი.

მთავარი, რაც წყვეტს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმატებას, არის ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. ამ მუშაობის იდეურ შინაარსს ისინი მუდამ უნდა აქცევდნენ ყურადღებას. შეიძლება ავაშენოთ მშვენიერი კლუბი, მაგრამ თუ ამ კლუბში მთელი მუშაობა მარტო ცეკვით ამოიწურება, კოლმეურნეები ასეთ კლუბში არ ივლიან.

ყოველ ოლქს ჰყავს მნიშვნელოვანი კულტურული ძალები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძალები ყოველთვის სწორად როდია გამოყენებული. სრული შესაძლებლობა აქვს ოლქს, რომ ყოველ სასოფლო კლუბში რეგულარულად გამოდიოდნენ ქალაქების კვალიფიციური ლექტორები საერთაშორისო, საშინაო, აგროტექნიკურ, ბუნებისმეტყველებისა და სხვა თემებზე, რომ კოლმეურნე მაყურებელმა თავისი კლუბის სცენაზე ნახოს ქალაქის საუკეთესო თეატრების სპექტაკლები. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია თვით საოლქო ორგანიზაციებზე, მაგრამ ბევრი რამ — კულტურის საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროებზე. უკვე დიდი ხანია დროა, რომ მათ უფრო ფართოდ გააჩაღონ მუშაობა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურებისათვის!

ჩვენში ცოტა როდია სოფლად კარგად დაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მაგალითები. ერთ-ერთ ასეთ მაგალითზე — ლიტვის კოლმეურნეობის „ლენინის გზით“ მომდერალთა კოლექტივზე ლაპარაკია დღეს გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ვილნიუსიდან. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავუწიოთ პრაპაგანდა ასეთ მაგალითებს, მხარი დავუჭიროთ და წავახალისოთ კულტურული მუშაობის ენთუზიასტები, მზრუნველობით ვზარდოთ ტალანტები, რომელებითაც ასე მდიდარია ჩვენი დიდი ხალხი. სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სოფლის ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ. ვინ უნდა იყოს ამ ცოცხალი და დიდმნიშვნელოვანი საქმის წამომწყები, თუ არა კომკავშირელები!

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ყურადღება უნდა გაძლიეროს ჩვენმა პრესამ. საჭიროა ვუჩვენოთ კარგი გამოცდილება, უფრო მწვავედ გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებანი, ენერგიულად ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის, გავამთრახოთ გულგრილი, გულცივი ადამიანები, რომლებსაც არ ესმით, რომ სოფლის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებანი განუწყვეტლივ იზრდება და ჩვენ მოვალენი ვართ დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილებანი.

ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხები, მჭიდროდ დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, იბრძვიან სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. ამ ბრძოლაში თავისი ადგილი უნდა დაიკავონ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვა უნდა გახდეს.

„პრავდის“ 23-XI მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★

კრედიტები ბელორუსიის კოლმეურნეობებს

მინსკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). წელს ბელორუსიის კოლმეურნეობებმა მიიღეს 110 მილიონამდე მანეთი გრძელვადიანი კრედიტი — 28 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. მთელი თანხის თითქმის ნახევარი დაიხარჯა მეცხოველეობის სადგომების მშენებლობასა და ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციაზე. დიდი თანხებია გამოყოფილი აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, მინერალური სასუქების შესაძენად და სხვა მიზნებისათვის.

ახალი ქალაქი ნევის ნაპირზე

კიროვსკი (ლენინგრადის ოლქი), 23 ნოემბერი. (საკდესი). ყოველ საღამოს ათასობით ნათურა ინთება ნევის ნაპირზე აგებულ ახალგაზრდა ქალაქში, სადაც ცხოვრობენ დუბროვკის ს. მ. კიროვის სახელობის № 8 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგეტიკოსები.

1930 წელს ამ ადგილას ტყე იყო. მალე ტყე გაკაფეს და დაიწყო ელექტროსადგურისა და ახალი ქალაქის მშენებლობა. ომისშემდგომ წლებში იქ აშენდა 68 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გაჩნდა მთელი ქუჩები. 250 ენერგეტიკოსმა სახელმწიფოს დახმარებით ინდივიდუალური სახლი აიშენა. ენერგეტიკოსთა დაბა იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას ქალაქი კიროვსკი დაერქვა.

ქარხნის ეკონომისტები იბრძვიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის

ოდესა. (საკდესი). ოდესის ფოლადმავთულბაგირის ქარხანამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის დავალება. მიღებულია სამ მილიონ მანეთამდე ზეგეგმითი მოგება.

საწარმოს რენტაბელური მუშაობისათვის შეჯიბრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მისი მგეგმავები და ეკონომისტები. დღის განმავლობაში დამზადებული პროდუქციის, ამისათვის დახარჯული მასალებისა და სახსრების აღრიცხვამ საშუალება მისცა მუშაკებს გამოვლინებინათ ნაწარმის გაიაფების დამატებითი წყაროები. მაგალითად, გამოიჩეკა, რომ ფოლადის ბაგირების საცხები ტექნიკური ვაზელინის, ღირებულება არაპროპორციულად დიდია ბაგირების წარმოების ღირებულებასთან შედარებით. ქერელგადაკრული ფოლადის ბაგირის „ჰერკულესის“ თვითღირებულებაზე გავლენას ახდენს დიდალი გრძელი ქერელის გამოყენება.

საწარმოში შეიმუშავეს და გამოიყენეს უფრო ადვილ საცხი-პარაფინში არეული მაზუთი, ხოლო „ჰერკულესის“ ბაგირის წარმოების ტექნოლოგიაში მცირეოდენი ცვლილების შეტანამ შესაძლო გახადა ნაწილობრივ გამოეყენებინათ მოკლე ქერელი. ამის შედეგად ყოველთვიურად ზოგავენ 152 ათას მანეთს.

ლენინგრადის კინოქრონიკის სტუდიის ახალი ფილმი

ლენინგრადი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ლენინგრადის კინოქრონიკის სტუდიამ გამოუშვა ფილმი „აღორძინებული პულკოვო“, რომელიც მიძღვნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიისადმი.

ფილმი გვიჩვენებს პულკოვოს მაღლობებზე დიდი სამამულო ომის შემდეგ აღდგენილ ობსერვატორიას. იგი გვაცნობს აგრეთვე პულკოვოს ასტრონომთა მუშაობას, რომლებიც აწარმოებენ დაკვირვებას ღამის ცაზე და მზის უდიდესი ჰორიზონტალური ტელესკოპით აწარმოებენ მზეზე დაკვირვებას დღისით.

დიდდება შაღის ქსოვილების გამოშვება

მოსკოვის პეტრე ალექსეევის სახელობის წმინდა მაუდის ფაბრიკაში დიდდება მაღალხარისხოვანი საპალტოე ქსოვილების — დრაფების „დემი“ და „მოსკოვურის“ გამოშვება. წმინდა შალის ამ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა დიდი გადაჭარბებით სრულდება.

შალის ქსოვილების გამოშვებაში დიდ წარმატებას აღწევენ მქსოველები. ასამდე მუშა ქალი ყოველდღიურად აჭარბებს ნორმებს. ისინი ამზადებენ მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას. მქსოველებმა ვლასოვამ, რაზგულიაევამ, ოგურეჩნიკოვამ და სხვებმა წლიური ნორმები შეასრულეს.

ახლა ფაბრიკა ოთხჯერ მეტ მაღალხარისხოვან დრაფებს უშვებს, ვიდრე წლის დამდეგს. (საკდესი).

კისლოვოდსკის კურორტის გამწვანება

კისლოვოდსკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დიდდება კისლოვოდსკის კურორტის მწვანე ნარგავთა ფართობი. დეკორაციული ხეებისა და ბუჩქების ახალი მწვანე მასივები დაირგო ახლა პარკში—კავკასიის მინერალურ წყლებს შორის ყველაზე დიდ პარკში, რომელსაც 120 ჰექტარამდე ფართობი უკავია. წარმოებს კურორტის გარშემო მდებარე მთების კალთების გამწვანება. მთა „კრასნოე სოლნიშკოს“ ძირში გაშენდა კაკლის ხის ჭალა.

ოთხი ათასზე მეტი ვარდის ბუჩქი დაირგება დამატებით ვარდთა მოედანზე — მოაგარაკეთა დასვენების საყვარელ ადგილზე. ვარდები დაამშვენებენ ქალაქის ქუჩებსა და პროსპექტებს.

წარმოებს კისლოვოდსკის ტბის ნაპირების გამწვანების სამუშაოები.

ტიმონინოელ და ორთაჭალელ კოლმეურნეთა მეგობრობა

ორთაჭალელ კოლმეურნეთა სტუმრები — ტიმონინოელები კვლავ ეცნობიან მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას. გულთბილ საუბრებში გრძელდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

22 ნოემბერს დელეგაციის წევრები იყვნენ ქ. გორში. ტიმონინოელებმა დაათვალიერეს დიდი სტალინის სახლი-მუზეუმი, რომელმაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. დელეგაციის ხელმძღვანელმა ამბ. ნ. პუზანნიკოვმა დელეგაციის წევრთა სახელით შთაბეჭდილებათა წიგნში გულთბილი ჩანაწერი გაკეთა. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს გორის საკინსერვო ქარხანა და ქალაქის ახალშენებლობანი.

შემდეგ ეწვიენ სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობას. ტიმონინოელები ხიდისთავში გაეცნენ კოლმეურნეთა ოჯახებს, მათს შეძლებულ ცხოვრებას.

გამოცდილების ურთიერთგაზიარების ვითარებაში მოეწყო ტიმონინოელთა შეხვედრა ორთაჭალელთა მეცხოველეობის ფერმაში. სტუმრებს სიხარულით შეეგებნენ ფერმის გამგე კ. თორმანიძე, ბრიგადირი ს. გულიაშვილი, ცნობილი მწველავები ოლღა ქაჯაია, მარიამ ივანიკოვა, ზოოტექნიკოსი ნ. ნაპიჩიშვილი და სხვა მუშაკები.

მწველავი ოლღა ქაჯაია მეგობრულად გადაეხვია მწველავ იდა ლამზიჩკინას, გაიხსენა ტიმონინოში გატარებული დღეები, მოიკითხა ძვირფასი მეგობარი, სოციალისტური შრომის გმირი პრასკოვია ნოვიკოვა. შემდეგ ოლღამ უამბო: მან ათ თვეში თვითეულ ძროხაზე მიიღო 2.597 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.900 კილოგრამისა. წლის ბოლომდე კიდევ გაზრდის ამ მაჩვენებელს.

— კარგი, სინთალიანი შენობა გაქვთ, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. პუზანნიკოვმა, — მოგიწყვიათ ავტომატური სარწყულებლები, ელექტროგანათება. ყოველივე ამასთან სასოფლოა პირუტყვის სადგომის იატაკი გუდრონირებული იყოს. მაშინ სადგომი უკეთესად დათბება. ამაში ჩვენ პრაქიკულად დავრწმუნდით. შემდეგ, აუცილებელია ელექტროწველის განხორციელებასთან ერთად ფერმაში შენობის შუა ადგილზე მოაწყოთ ელექტროწველის ოთახი. უნდა გაკეთდეს სარძეო ოთახი, საკვების შესანახი და დასაორთქლებელი.

— თქვენ საკმაოდ ბევრი მოგყავთ სუფრის ჯარხალი, — განაგრძო ამხ. პუზანნიკოვმა, — მას ბაზარზე ჰყიდით. თუ ამ ჯარხალს გამოიყენებთ პირუტყვის საკვებად, ერთიორად აგინაზღაურდებათ რძით.

გულთბილი საუბრები გაიმართა ტიმონინოელ და ორთაჭალელ ზოოტექნიკოსებს შორის.

— ჩვენ, — ამბობს ტიმონინოელი ზოოტექნიკოსი ვალენტინა კირეევა, — დიდ ყურადღებას ვაქცევთ საკვები ბაზის შექმნას. თვითეულ პირუტყვზე მოდის ექვსი ტონა წვნიანი საკვები. დავამზადეთ 500 ტონა მაღალხარისხოვანი თივა. თქვენ კი, — მიმართავს იგი ორთაჭალელ ზოოტექნიკოსს ამხ. ნ. ნამიჩიშვილს, — დაგიმზადებიათ ორას ტონამდე თივა, თვითეულ პირუტყვზე — 3,5 ტონა წვნიანი საკვები და ამასთან საერთო მარაგს ავსებთ ისეთი საკვებით, რომელიც ყუთიანი არ არის. ჩვენი რჩევა მეტი ყურადღება დაუთმოთ საკვები ბაზის განმტკიცებას. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, მისი პროდუქტიულობის ზრდა. სასურველია პირუტყვის საკვებად გამოიყენოთ კომბოსტოც.

ქართველ მეგობრებს — მწველავებს ო. ქაჯაიას, მ. ივანიკოვას და სხვებს ესაუბრა ტიმონინოელი მწველავი ი. ლამზიჩკინა, რომელმაც განაცხადა, რომ მათს ფერმებში შემოღებულია ორცვლიანი მუშაობა, პირადად მას მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 20 ძროხა, აქვს ორი ელექტროსაწველი აპარატი და ამით შრომისნაყოფიერება საგრძნობლად გადიდდა.

ტიმონინოელებმა დაათვალიერეს აგრეთვე მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები.

ნ. ჯანჯღავა.

გამოცდილების ურთიერთგაზიარება გრძელდება

სურათზე: მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ამხ. ა. კარტოზია (მარცხნივ) აცნობს კოლმეურნეობის ყვავილების ორანჟერეიას. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი ალბანურ ენაზე

ტირანა. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ამას წინათ ალბანეთში ალბანურ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

შანხაი ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის დიდი ცენტრია

პეკინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). შანხაი ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის დიდი ცენტრია. ათობით სართავი, საქსოვი, საჩითავი და ტრიკოტაჟის ფაბრიკა დიდძალ ნართს, ქსოვილსა და ტრიკოტაჟს უშვებს. შანხაის საფეიქრო საწარმოთა ნაკეთობა ფართოდ არის ცნობილი მთელ ჩინეთში.

მიმდინარე წლის პირველ 8 თვეში საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის გამოშვება შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 29,51 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვნად გადიდდა თვითეული დაზგისა და თვითეული თითსტრის პროდუქციის გამომუშავება, გაუმჯობესდა საქონლის ხარისხი და გაფართოვდა ასორტიმენტი. გაზეთი „ენმინჟიბაო“ აღნიშნავს, რომ საფეიქრო მრეწველობის ზრდასთან ერთად მაღლდება ფეიქართა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. მარტო წელს შანხაიში ფეიქრებისათვის აშენდა 307 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. აღმოსავლეთ ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის სამმართველომ შანხაის ფეიქრებისათვის გახსნა ორი საავადმყოფო 835 საწოლით, 25 ბაგა, რომლებშიც ზრდიან 5.300 ბავშვს.

შანხაელი ფეიქრები სახალხო ჩინეთის მშენებელთა პირველ რიგებში არიან. შრომის ფრონტზე დამსახურებისათვის შანხაის საფეიქრო ფაბრიკების ბევრ მუშას წარმოების მოწინავისა და შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ხან ბეი-ლანის, ჯუ ფადის, ფან სი-იუანის სახელებს ახლა მთელი ჩინეთი იცნობს. შანხაელი ფეიქრები წარმატებით, გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს და ამასთან დიდ დახმარებას უწევენ ჩინეთის ახალ საფეიქრო საწარმოებს. შანხაის 900 კვალიფიციური ფეიქარი წავიდა ჩინეთის სხვადასხვა რაიონებში ახლად აშენებულ საფეიქრო ფაბრიკებში სამუშაოდ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა რუმინეთში

ბუქარესტი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე რუმინეთში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგი — სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. რუმინეთში მოგვიანებულია კდ-35 მუხლუხა ტრაქტორების, სატრაქტორო გუთნების, სათესი მანქანების, კულტივატორების, სამკელ-ძნისაკონავი მანქანების, სალეწი მანქანების, მარცვალსაწმენდი მანქანებისა და სხვ. წარმოება.

1950 წელთან შედარებით სამკელ-ძნისსაკონავი მანქანების წარმოება 13-ჯერ გადიდდა, სალეწი მანქანებისა — 14,5-ჯერ, მექანიკური ფოცხებისა — 640 პროცენტით და სხვ. 1948 წლიდან ტრაქტორების პარკი სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში გადიდდა ერთისამად, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში — 4,5-ჯერ.

მარტო 1953 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებმა მიიღეს 1.066 ტრაქტორი, 103 სალეწი მანქანა, 148 სამკელ-ძნისსაკონავი მანქანა, 398 სათესი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ამჟამად მტს-ებს სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებთან ერთად 15 ათასამდე ტრაქტორი აქვთ.

უნგრეთის მსუბუქი მრეწველობის განვითარება

ბუდაპეშტი. (საკდესი). ამა წლის მეორე ნახევარში უნგრეთის მთავრობამ გაადიდა კაპიტალდაბანდება მსუბუქ მრეწველობაში, რითაც რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილოს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნა სახალხო მოხმარების საქონლეზე.

ამა წლის მესამე კვარტალში ტყავეულის მრეწველობამ გამოუშვა 9,1 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

ამჟამად ტყავეულის, ფეხსაცმლის, საფეიქრო და ბევრ სხვა საწარმოში გადასინჯავენ წარმოების ტექნოლოგიას, გაუმჯობესებულია წარმოების ცალკე პროცესები, დანერგილია შრომის ახალი მეთოდები. წინათ უშვებდნენ მხოლოდ ყავისფერი და შავი ტყავის ფეხსაცმელს. ახლა ტყავის ქარხნები ფეხსაცმლისათვის რამდენიმე ფერის ტყავს უშვებენ.

ახალი გაუმჯობესებული ხარისხის საქონელს უშვებს აბრეშუმისა და ბამბეულის მრეწველობა. ათვისებულია მთელი რიგი ახალი მოხატულობანი, გაუმჯობესებულია ქსოვილების გაფერადება. გაფართოებულია სამკერვალო მრეწველობის საქონლის ასორტიმენტი. დებრეცენის სამკერვალო ფაბრიკაში ახალ სახეობათა პროდუქციაში არის ამ მოდელებით დამზადებული ქალის კაბები, რომლებიც დემონსტრირებული იყო პრაღაში მზა ტანსაცმლის საუკეთესო მოდელების საერთაშორისო კონკურსზე.

კურის ქარხნების მშენებლობა პოლონეთში

ვარშავა, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო იუწყება, პოლონეთის მთელ რიგ ქალაქებში მწყობრში დგება დიდი თანამედროვე პურსაცხობები. მექანიზებული პურსაცხობები უკვე მოქმედებს ვარშავაში, შჩეცინში, ლოძში, ნოვა გუტაში, სილეზიის ქალაქებში. ვარშავაში შენდება პურის ორი ახალი ქარხანა. თანამედროვე მექანიზებულ პურსაცხობებს მიიღებენ ჩენსტოხოვის, ხოჟუვის, ბიტომისა და პოლონეთის სხვა ქალაქების მცხოვრებნი.

ახალ საწარმოებთან იქმნება სპეციალური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით.

დაბა დეკოზში (ელცის სავოევოდო) მალე დამთავრდება დიდი მაცივრის მშენებლობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკის კვების მრეწველობისათვის.

პარტიული ცხოვრება

დავაჩქაროთ სახალხო მოხმარების საქონლის ტვირთზიდვა

ამიერკავკასიის რკინიგზის პარტიული აქტივის კრება

ამიერკავკასიის რკინიგზის პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, განიხილა რკინიგზის ტრანსპორტის ახალი ამოცანები ტვირთზიდვის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის ტვირთზიდვის დარგში. მომხსენებელი — გზის უფროსი ამხ. გ. კიკნაძე, აგრეთვე სიტყვით გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ რკინიგზის ტრანსპორტის როლზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის დიდი ამოცანის გადაწყვეტაში. ახლა სახალხო მოხმარების საქონლის ტვირთებს აღარ თვლიან „მეორეხარისხოვან საქმედ“, მრავალი განყოფილება და სადგური ამ ტვირთების გადაზიდვას ყოველდღიურ კონტროლს უწევს. მიუხედავად ამისა, საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზა მომდინარე წლის სამი კვარტალის შედეგების მიხედვით მაინც ჩამორჩა სახალხო მოხმარების ზოგიერთი სახის საქონლის დატვირთვაში.

ამჟამად დიდად იზრდება როლი განყოფილებების უფროსებისა, რომელსაც უფლება მიეცათ მიტანისთანავე ტვირთონ მთელი რიგი სამრეწველო და სასურსათო საქონელი, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და ცალკეული კოლმეურნეების ტვირთები. მაგრამ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ისეთი ტვირთების გადაზიდვა, რომლისთვისაც დღე-ღამეში საჭიროა სულ რამდენიმე ვაგონი. თბილისის განყოფილების უფროსმა ამხ. კონიაშვილმა აღიარა, რომ განყოფილება დროზე ვერ მოემზადა გაძლიერებული ტვირთნაკადის მისაღებად.

კრებაზე მკვეთრად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვის ზრდა უნდა ხდებოდეს მძიმე ინდუსტრიის ტვირთების სრულად და სწრაფად გადაზიდვასთან ერთად. მაგრამ გზაზე უკვე მესამე თვეა არ სრულდება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩასხმის გეგმა.

გზის ვერც ერთი განყოფილება ვერ ასრულებს ვაგონების ბრუნვის ნორმას. ვაგონების ბრუნვის დაჩქარების რეზერვების გამოყენების შესახებ ილაპარაკა ბალაჯარის საორთქლმავლო დეპოს მემანქანემ, მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატმა ამხ. ოსინმა. მან აღნიშნა, რომ ბრძოლა სატვირთო მატარებლების წონის გადიდებისათვის აქამდე „ერთპიროვნულ“ ხასიათს ატარებს.

საექსპლოატაციო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიული აქტივის კრებამ მთელი რიგი არსებითი მოთხოვნები წაუყენა გზის ხელმძღვანელობას. განსაკუთრებით აღინიშნა რკინიგზის ტრანსპორტის ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის მომზადების დიდი მნიშვნელობა.

საექსპლოატაციო მუშაობასთან ერთად აქტივმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მატარებელთა მოძრაობის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე. მიმდინარე წლის 9 თვეში გზაზე დაშვებულ იქნა წუნის მრავალი შემთხვევა. მუშაობაში წუნისა და ძარცხის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზელთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას. აქტივის კრებაზე მოყვანილ იქნა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პოლიტორგანოები, პარტიული ორგანიზაციები და გზის მეთაურები ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, ხშირად აღმზრდელობითს მუშაობას შიშველი ადმინისტრირებით ცვლიან.

პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ საექსპლოატაციო საქმიანობაში, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვის საქმეში არსებული ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტებით. ამ საკითხს შეეხო გზის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ნ. გაბუნია. მან თქვა, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი კონტროლის უფლებას, არ განიხილავენ საკვანძო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო გეგმების შესრულებასა და სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვასთან.

პროფკავშირის საგზაო კომიტეტი და რაიპროფკომები არადამაკმაყოფილებლად წარმართავენ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

საკმაო ყურადღება არ ექცევა რკინიგზელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საერთო საცხოვრებლებსა და სასადილოებში ჯეროვანი წესრიგის დამყარებას.

შეეხო რა საგზაო გაზეთების მუშაობას, ამხ. გაბუნიამ აღნიშნა, რომ ისინი სუსტად აშუქებენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, თუ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ნამდვილად არ მოჰკიდებს ხელს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ფერმებში შექმნილი არ არის კვების მრავალფეროვანი რაციონი. დაბალია ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების მოსავლიანობა, რაც იმას ადასტურებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ყველა ღონისძიებას არ ვახორციელებთ მათი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

იმ მაღალ ვალდებულებათა შემდეგ, რაც ჩვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პასუხად ვიკისრეთ, უფლება აღარა გვაქვს დავუშვათ ოდნავი ჩამორჩენაც კი საკვების წარმოებაში. ყველა ღონისძიებას გავატარებთ, რათა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ჩვენი მთელი პირუტყვი წლის განმავლობაში ჭარბად იქნება უზრუნველყოფილი უკეთიანი საკვებით.

საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები

კოლმეურნეობის ცხვარი 24 ბრიგადაზეა მიჩენილი. ბრიგადებს მცოდნე და საქმისმოყვარე მეცხვარეები ხელმძღვანელობენ. ამასთან ბრიგადების დაკომპლექტებასას ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მწყემსი ყველა სამუშაოს თანაბრად არ არის დაუფლებული. ზოგი ბატკნის მოვლა-პატრონობაშია დახელოვნებული, ზოგს დედაცხვრის მოვლა ემარჯვება, ზოგსაც თუშური ყველის დამზადება ეხერხება. ამიტომ ბრიგადებს ყველა სპეციალობის მუშაკებით ვაკომპლექტებთ.

№ 22 ბრიგადაში, რომელსაც ალექსა ჯიხოშვილი ხელმძღვანელობს, 1.300 ცხვარია. ბრიგადამ წელს მიღებული 710 სული ბატკნიდან 706 სული „ამოზარდა. მარტო გაზაფხულზე თითო სულ ცხვარზე 1,5 კილოგრამი მატყლი მიიღო, გეგმა კი 1,3 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ა. ჯიხოშვილს მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ჯანსაღი ნამატის მიღებისათვის ბრძოლას იგი ზაფხულიდან იწყებს. ივლისში წველას წყვეტს, დედაცხვარს წინასწარ შემონახულ საუკეთესო საძოვარზე უშვებს და ასუქებს. განერბვის შემდეგ ცდილობს, რომ ცხვარმა შეხორცებაში არ დაიკლოს, რადგან გამხდარი ცხვარა სუსტ ბატკანს იძლევა და ფარას ზიანი მოსდის.

ზამთრის საძოვარი. მას დაყოფილი აქვს ნაკვეთებად და მის გაძოვებას მორიგეობით აწარმოებს. პირველად ცხვარი ბინიდან დაშორებულ ნაკვეთებში ლუდგას, შემდეგ თანდათანობით ბინას უახლოებს. ასე იმიტომ იქცევა, რომ დოლის დაწყებისას დედაცხვარი ან ნამატი არ დაუზარალდეს. ბინის ახლოს ნაკვეთები დაყორუღებულია. აქ ახალმოგებულ ცხვარს და მოსაგებად დარჩენილ პირუტყვს აძოვებენ.

ცხვრის ბინა მოხერხებულ ადგილას არის აშენებული. იგი დაცულია ქარისა და ნესტისაგან. ბინის მახლობლად ბალახი გაზაფხულზე ადრე ამოდის და სწრაფად ეზრდება. ბატკნებისათვის ორი ბინა ჰქონდა, წელს დამატებით ახალი ააშენა. ეს აუცილებელია, რადგან სხვადასხვა ასაკის ბატკნების ერთად მოთავსება ნამატს აზარალებს. უკანასკნელ ორ წელს საზამთრო საძოვრებზე ავაშენეთ მწყემსთა 29 ბანა, ცხვრის ამდენივე ფარეხი, 58 საბატკნე და 29 ბატკნის საწოვებელი.

საღოლე ცხვრის ფარაში ბრიგადის წევრები მუდმივად მორიგეობენ. ახლად მოგებულ ბატკანს რძის მიღებაში ეხმარებიან. თუ ამინდი კარგია, ახალმოგებულ ცხვარსა და ბატკანს ერთად ამყოფებენ ყორუღში. ასე გრძელდება ხუთ დღემდე. ზოგჯერ დედაცხვარი შვილს არ აწოვებს. მაშინ ბატკანს დედასთან ერთად სპეციალურად მოწყობილ კორაკანში ამწყვდევენ. მწყემსები მას „საყვარელას“ ეძახიან.

დედაცხვარს განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან. ბალახთან ერთად კონცენტრირებულ საკვებს აძლევენ. ეს საჭიროა, ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ ბატკანი სწრაფად განვითარდეს, მეორეც — მატყლი გაეზარდოს. ჯიხოშვილის ბრიგადა ცხვრის პარსვას ბინის ახლოს აწარმოებს. ათ დღემდე ცხვარს შორს არ მიერეკება. ამრიგად, უამინდობა ახლად გაპარსულ ცხვარს ვერ დააზარალებს.

პირუტყვის საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვა და პირიქით მეტად პასუხსაგები საქმეა. ჯიხოშვილის ბრიგადა ცხვარს ნელა მიერეკება, ძალას არ ატანს, დროდადრო ასვენებს, საკვებს არ აკლებს.

ბრიგადაში ხახელოვანი მწყემსები მუშაობენ. გაბრიელ ქოქორიშვილი 85 წლისაა, მაგრამ მუშაობაში ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება. 65 წელზე მეტია, რაც იგი მეცხვარეობაში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მთათუშეთიღან ჯასპიის ზღვამდე 35.000 კილომეტრამდე განვლო.

გიორგი ზარიძე ცხვრის მცნობია. იგი სათითაოდ სცნობს ფარის ყველა ცხვარსა და ბატკანს. ბატკნის შენარჩუნება-გამოზრდა დოლიდან ასხლეტამდე უმთავრესად მის უნარიან მუშაობაზეა დამოკიდებული.

მოწინავენი სხვებიც არიან. № 24 ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ორბეთიშვილი) ნამატის დაცემა მინიმუმამდე შეამცირა. ჩვენ ამოცანად დავისახეთ შევქმნათ კოლმეურნეობაში მეცხოველეთა მუდმივი კადრები, აღმოვფხვრათ მათი დენადობა, დავეხმაროთ მწყემსებს აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია და მიაღწიონ უფრო მაღალ მაჩვენებლებს.

ჯიშოგბრივი გაუმჯობესების გზით

ალვანელები მუდამ თუშურ ცხვარს აშენებდნენ. მის მოვლა-პატრონობას კარგად იყვნენ დაუფლებულნი. რამდენიმე წელია, რაც დავიწყეთ კავკასიური ჯიშის ნაზმატყლიანი ყოჩების თუშურ ცხვართან შეჯვარება. მწყემსებმა მეტისი ცხვრის მოვლაც კარგად ისწავლეს. თუშური ცხვრისაგან განსხვავებით ზამთრობით მას უფრო თბილად ინახავენ. ყუთურით რომ არ დაავადდეს, სპეციალურ ხსნარებში აბანებენ.

მეცხვარეები ნაჯვარი ცხვრით კმაყოფილნი არიან, რადგან ასეთი პირუტყვი ნაბარევით არ ავადდება, ხოლო მატყლი თუშურ ცხვარზე გაცილებით უკეთესი აქვს. იგი კავკასიის ციცაბო ფერდობებს კარგად ეგუება, იტანს დიდ მანძილზე მგზავრობას და სხვ. ნაზმატყლიანი ცხვრის ბრიგადას გ. უშარაული ხელმძღვანელობს.

ცხვრის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე გულმოდგინედ მუშაობენ კოლმეურნეობის მეცხოველე-სპეციალისტები: დ. ქოქორიშვილი, დ. იტოშვილი, ა. ბარძიმაშვილი, ნ. კაიშვილი და ლ. მანჭარაული.

აღმოვფხვრათ მეცხვარეობის ხელშემშლელი მიზეზები

მიღწევებს მეცხვარეობის საქმეში კიდევ უფრო გავამრავლებდით, ზოგიერთი ხელშემშლელი მიზეზი რომ არ გვქონდეს. როგორც აღვნიშნე, საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს შორის მანძილი 600 კილომეტრს აღემატება. გადარეკვისას პირუტყვი ხშირად სრულ უწყლობას განიცდის. ზოგჯერ ისე გავივლით 50-100 კილომეტრს, რომ წყალი არ შეგვხვდება. თუ სადმე გუბეებია, მას ცხვარი აწყდება, ფეხით აბინძურებს. ლაფიანი წყლის დალევა ავადმყოფობას იწვევს. წყლის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს. გზებზე წყლის საკმარისი მარაგი უნდა იყოს.

წყალი არ არის აგრეთვე სტავროპოლის მხარის საძოვრებზე. ორი-სამი ჭა, რომელიც აქ არის მოწყობილი, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, შორი მანძილიდან კასრებით მიტანილი წყალი ცხვარს არ ჰყოფნის. საკმარისია ჩვენს კოლმეურნეობას ჰქონდეს 3-4 ცისტერნიანი ავტომანქანა, რომ უწყლობამ ალარ შეგვაწუხოს.

საზამთრო საძოვრებზე ცეკავშირის მაღაზია ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მწყემსების საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას. აქ იშვიათად, ან სრულებით არ მიაქვთ ტანსაცმელი, ნაბდები და სხვ. განა არ შეიძლება ცეკავშირმა მოგვამაგოს ბრეზენტის კარვებით? მწყემსები მუდმივად ველად არიან. წვიმასა და ქარში ცის ქვეშ დგომა ადვილი არ არის. თუ მწყემსებს ინდივიდუალური კარვები ექნებათ, ცუდ ამინდში თავს შეაფარებენ. ცხვარს უკეთესად უმეთვალყურებენ. საზამთრო საძოვრებზე ოთხთვალებიც ბევრი გვჭირდება, მაგრამ არც ამით გვამარაგებენ.

საზაფხულო საძოვრებზე მარილის და სხვა საგნების მიტანა და იქიდან მეცხოველეობის პროდუქტების წამოღება ცხენით გვიხდება. 156 ცხენი მუდამ მუშაობაშია. ცხენების შესაკაზმად ქეჩა-ნაბადი გვჭირდება. მისი დამზადება იქ, სადაც მექანიზმები მუშაობს, ძნელი საქმე არ არის, მაგრამ ეს დღემდე არავის გახსენებია. იძულებული ვართ ქეჩა-ნაბადი პრიმიტიულად დავამზადოთ. ეს დიდ შრომას მოითხოვს. გარდა ამისა, იგი მატყლის დიდ დანახარჯებსაც იწვევს.

ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მითითებები მეცხოველეობის ახალი აღმავლობის საქმეში.

იოანე აბაშიძე,
ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს მეფეხსაცმელეთა

დელეგაცია მოსკოვში

სურათზე: მოსკოვის ფაბრიკა „პარიეტკაია კომუნის“ მთავარი ინჟინერი ამხ. მაგნიცკი საქართველოს მეფეხსაცმელეთა დელეგაციას უჩვენებს ახალი მოდელების ფეხსაცმლის ნიმუშებს. ფოტო რ. დიამენტისა.

★ ★

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ბევრ საინტერესო სიახლეს გაეცნენ საქართველოს ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკთა დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის ფეხსაცმლის ერთ-ერთი უდიდესი ფაბრიკის „პარიეტკაია კომუნის“ საამქროებში. საქართველოდან აღნიშნული დელეგაციის ჩასვლის მეორე დღეს, 17 ნოემბერს, დელეგაციის წევრებს ესაუბრა ფაბრიკა „პარიეტკაია კომუნის“ მთავარი ინჟინერის მოადგილე მ. პოპოვი. მან დაწვრილებით მოუთხრო საქართველოს მეფეხსაცმელეთა წარმომადგენლებს, თუ როგორ არის ამ ფაბრიკაში მოწყობილი შრომა, როგორ იბრძვიან პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, ძირითადი და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის, ფეხსაცმლის ახალი ფასონების დანერგვისათვის, როგორ აქვთ აწყობილი საწარმოო პროცესები და ა. შ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქ ფეხსაცმლის სილამაზეს და გამძლეობის უზრუნველყოფას. ფაბრიკის მუშები, როგორც ფეხსაცმლის მწარმოებლები, ამასთან ამ პროდუქციის მომხმარებლებიც არიან. ამიტომ ფაბრიკა „პარიეტკაია კომუნაში“ წესად აქვთ შემოღებული, რომ მუშებმა წარმოდგენონ თავიანთი წინადადებანი ყოველი ცალკე მოდელის მიხედვით შეკერილი ფეხსაცმლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საუკეთესო ნაყოფი გამოიღო ოპერაციათაშორისი თვითკონტროლის დაწესებამ.

საამქროთა მუშაობასთან გაცნობისას სტუმრებს უჩვენეს, თუ როგორი წესით ხდება მუშებისათვის ნედლი მასალის მიცემა, როგორ მუშაობენ დამხარისხებლები, ნედლეულის ხარისხის შემმოწმებლები, როგორ ხდება მასალების განაწილება სხვადასხვა სახის ფეხსაცმლის გამომშვებ საამქროს შორის.

საქართველოს მეფეხსაცმელეთა წარმომადგენლები დიდ ინტერესს იჩენდნენ ისეთი საკითხებისადმი, როგორიც არის სამუშაო ადგილის მოწყობა, რაციონალიზატორთა მუშაობის წახალისება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის პრაქტიკული საკითხები, ტექნოლოგიის გამარტივება და გაუმჯობესება და ა. შ. განსაკუთრებით აინტერესებდათ ჩამოსულებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხები, აღრიცხვის საქმის დაყენება და კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლის ორგანიზაცია.

პირველი გაკვეთილები

საქართველოს ფეხსაცმლის მრეწველობისა და ტყავის გამოყენი საწარმოების მუშაკთა დელეგაციის წევრებმა მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიეტკაია კომუნას“ მუშაობასთან გაცნობით დიდი გამოცდილება შეიძინეთ.

მთავარი, რაშიაც უნდა მივბაძოთ მოსკოველებს, არის სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობის უზრუნველყოფა, შეჯიბრებაში ჩაბმულთა მუშაობის შედეგების ყოველდღიური აღრიცხვის მოწესრიგება და სათანადო პირობების შექმნა ნორმალური მუშაობისათვის.

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მუშაობის ყოველდღიური მაჩვენებლების აღრიცხვა არა გვაქვს. ამ მხრივ „პარიეტკაია კომუნას“ გამოცდილება დიდად დაგვეხმარება შემდგომ მუშაობაში.

მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიეტკაია კომუნას“ კოლექტივის წარმატების მთავარი საწინდარია შრომის რაციონალურად მოწყობა ყველა საამქროში, უბანზე და ცალკე საწარმოო ნაკადზე. ამ მხრივაც საქართველოს ფეხსაცმლის ფაბრიკების კოლექტივებმა ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მოსკოველებისაგან. „პარიეტკაია კომუნაში“ შემოღებულია ე. წ. საოპერაციოთაშორისო თვითკონტროლი. ეს ნიშნავს, რომ მუშა, რომელმაც წინა მუშისაგან მიიღო საფეხსაცმელე დეტალი მორიგი ოპერაციის შესასრულებლად, ამოწმებს შესრულებული ოპერაციის ხარისხს არა მარტო პროფესიონალის თვალსაზრისით, არამედ მომხმარებლის თვალსაზრისითაც, და თუ ნახა, რომ ოპერაცია დაუდევრად არის შესრულებული, დეტალს უკანვე აბრუნებს. ასეთი თვითკონტროლის შემოღებით საწარმოო დიდ ეკონომიას აღწევს.

ჩვენი ფეხსაცმლის ფაბრიკების სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ძირითადი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვას. ჩვენ უნდა შევძლოთ ცნობილ ნოვატორ ვ. მატროსოვის მეთოდით მუშაობის ისე მოწყობა, რომ საწარმოში ყველა ასრულებდეს გეგმას, არა გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი მუშა.

ვ. ლლოტი,
თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის საპირეს გამომჭრელი საამქროს უფროსი (დელეგაციის მონაწილე).

პრესის მიმოხილვა

რაიონული გაზეთები მტს-ზე

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიული მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა და ისინი ამჟამად წარმოადგენენ გადაწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. მტს-ებს განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნით პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

სრულყოფილად, საქმის ცოდნით ასახონ მტს-ების როგორც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორთა მუშაობა, დაეხმარონ მათ დიდ და პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტაში — ჩვენი გაზეთების ღვიძლი საქმეა. გარკვეულ მუშაობას ეწევა ამ დარგში რაიონული გაზეთი **„ქარელის კოლმეურნე“.**

ქარელის რაიონში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, მათზე ბევრად არის დამოკიდებული რაიონის მშრომელთა წარმატებები სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ბევრი „ქარელის კოლმეურნეც“ სისტემატურად წერს მტს-ების მუშაობაზე, საქმიანი რჩევა-დარიგებით ეხმარება მათს მუშებს, ინჟინრებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს.

უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე გაზეთმა ბევრი წერილი მოათავსა საერთო სათაურით „კომბაინერთა შეჯიბრება“. ამ წერილებში გაზეთი უმთავრესად აშუქებდა მექანიზატორთა მიერ მოსავლის უდანაკარგოდ აღების, პროფესიის ღრმად დაუფლების საქმეში სოციალისტური შეჯიბრებით მოპოვებულ წარმატებებს. წერილში „ადამიანები, როგორ ვმუშაობთ“ (13 აგვისტო) კარგად არის გადმოცემული აგარის მტს-ის მოწინავე კომბაინერის ა. ტიტვინიძის მუშაობის გამოცდილება. გაზეთი საქმის ცოდნით უჩვენებს, თუ როგორ აღწევდა ტიტვინიძე მოსავლის აღებაში მაღალ მაჩვენებლებს. საინტერესოდ, საქმიანად არის გაკეთებული აგრეთვე კორესპონდენცია „ავთანდილ გეგელაშვილის ბრიგადა“. მასში მოთხრობილია ახალგაზრდა, მოწინავე მექანიზატორის სატრაქტორო ბრიგადის თავდადებულ ბრძოლაზე მოსავლის აღებისა და საშემოდგომო ხვნის სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

„ქარელის კოლმეურნე“ ფართოდ აშუქებს მოწინავე მექანიზატორთა მუშაობის გამოცდილებას. გაზეთის ფურცლებზე თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ მოგვითხრობენ სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, სოფლის მეურნეობის სხვა მშრომელები.

მშობლიური „კომუნისტური პარტიის ძოწოდების პასუხად სოფლის მეურნეობის ბევრმა სპეციალისტმა განაცხადა ქარელის რაიონის მტს-ებში მუშაობის სურვილი. ამ პატრიოტულმა მოძრაობამ სათანადო გამოხატულება ჰპოვა „ქარელის კოლმეურნის“ ფურცლებზე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გაზეთი რატომღაც არაფერს წერს მათს საქმიანობაზე, იმ სიახლეზე, რაც შეიტანეს მტს-ების მუშაობაში სოფლად სამუშაოდ დაბრუნებულმა სპეციალისტებმა.

„ქარელის კოლმეურნესთან“ შედარებით სულ სხვა სურათს გვიჩვენებს ამბროლაურის რაიონული გაზეთის **„კომუნარის“** მუშაობა. უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე გამოსული ნომრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ რაიონის მტს-ი არაფერს არ აკეთებს. ამ ხნის განმავლობაში გაზეთმა ორიოდე ინფორმაციული ხასიათის მასალით გაახსენა მკითხველებს რაიონში მტს-ის არსებობა. 14 ოქტომბრის ნომერში გაზეთი იუწყებოდა, რომ ბევრი სპეციალისტი აცხადებს მტს-ში მუშაობის სურვილს. ამის შემდეგ გაზეთს ერთი სიტყვაც არ უთქვამს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ამ პატრიოტულ მოძრაობაზე.

7 ოქტომბრის ნომრის მოწინავე სტატიაში „დაუყოვნებლივ დავძლიოთ ჩამორჩენა საშემოდგომო თესვაში“ გაზეთი გაკვრით წერდა:

> „რაიონში საშემოდგომო თესვის საქმეში ჩამორჩენა იმის შედეგიც არის, რომ მტს-ის მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად. ხშირ შემთხვევაში მისაბმელი აგრეგატის უვარგისობის გამო ტრაქტორები უქმად დგანან კოლმეურნეობებში“...

როგორც ხედავთ, ამბროლაურის მტს-ის მუშაობაში ყოფილა ნაკლოვანებანი. საკვირველია, რატომ არაფერს წერდა გაზეთი ადრე მათ შესახებ?

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა ამბროლაურის მტს-ი, რომელსაც ჯერ კიდევ ზრ დაუწყია მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გეგმის შესრულება, ჩამორჩება უხეში საკვების დაგროვების გეგმების შესრულებაში. საფიქრებელი იყო, რომ გაზეთი „კომუნარი“ ამის შემდეგ მკვეთრად გარდაქმნიდა მუშაობას, თავის ფურცლებზე მეტ ყურადღებას დაუთმობდა მტს-ის მუშაობის საჭირბოროტო საკითხებს, იმას, თუ რა ამოცანები დგას ახლა მტს-ის წინაშე, როგორ ასრულებს იგი ამ ამოცანებს. მაგრამ გაზეთი „კომუნარი“ ძველებურად, ამ დიდნიშვნელოვანი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით განაგრძობს მუშაობას. როგორც ჩანს, პარტიის ამბროლაურის რაიკომი ნაკლებად ზრუნავს თავისი გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამჟამად მტს-ების ამოცანაა მთელი ძალები მიმართონ გაზაფხულისათვის სანიმუშოდ მომზადებისაკენ. მტს-ების მუშაკთა შრომითმა მეცადინეობამ ფართო ასახვა უნდა ჰპოვოს რაიონულ გაზეთების ფურცლებზე. გაზეთებმა სათანადო ადგილი უნდა დაუთმონ აგრეთვე მტს-ების მუშაკთა ზრუნვას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, ვრცლად უჩვენონ მტს-ებში სამუშაოდ დაბრუნებული სპეციალისტების პირველი ნაბიჯები, მოუთხრონ მკითხველებს იმ წარმატებათა შესახებ, რასაც ისინი აღწევენ პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტრიბუნა

მეცხვარეობა ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყაროა

სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკაში მეცხვარეობას საპატიო ადგილი უჭირავს. მაგალითად, თუ გასულ წელს მთელი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავალი 2.848.440 მანეთს შეადგენდა, ამ თანხიდან მეცხვარეობის წილად მოდიოდა 1.065.139 მანეთი. წელს სახელმწიფოს ჩავაბარეთ 3.000 ცენტნერი ხორცი, 180 ათასი ლიტრი რძე, 94 ათასი კილოგრამი მატყლი. შრომადღეებზე ავანსად 150.000 კილოგრამი ხორცი გავანაწილეთ. კოლმეურნეებმა ყველიც მიიღეს. მეცხვარეობის ფერმებში ამჟამად 42 ათას სულზე მეტი ცხვარი გვყავს, ანუ 15 ათასი სულით მეტი, ვიდრე 1949 წელს.

განიხილეს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, ზემოალვანელმა კოლმეურნეებმა იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. ფერმებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად. პლენუმის დადგენილებას, მშობლიური პარტიის ზრუნვას ჩვენ იმით ვუპასუხეთ, რომ ამოცანად დავისახეთ კიდევ უფრო გავზარდოთ ცხვრის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, თვითეული ცხვრიდან მივიღოთ სამ კილოგრამზე მეტი მატყლი და 5 კილოგრამი ყველი.

მტკიცე საკვები ბაზა მთავარი პირობაა

მეცხოველეობის განვითარებაში წარმატებათა საფუძველია მტკიცე საკვები ბაზა. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ცხოველთა წესიერი კვება? ზაფხულობით ცხვარი მდინარე ალაზნის სათავეებთან, აგრეთვე „ხუფრას“, „ველკეთილის“, „სადუცეს“, „ვეგოს“, „ხარაისწყაროს“, „ბულანჩოს“, „თიხათას“ მთებზე გვყავს დაბანაკებული, ხოლო ზამთრისათვის პირუტყვს უხვი და ნოყიერი ბალახით მდიდარ სტავროპოლის მხარისა და ასტრახანის ოლქის საძოვრებისაკენ მივერეკებით. მაგრამ ამის მიუხედავად წელს 20.500 ცენტნერი მარტო თივა დავამზადეთ. ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ დედაცხვარს დოლის შემდეგ გაძლიერებული კვება სჭირდება, ვფიქრობთ საკმაო რაოდენობით მოვიმარაგოთ კონცენტრირებული საკვებიც. ფერმებში ჯერჯერობით მიტანილი გვაქვს 14 ათასი ეროგრამი შვრია.

მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებებიც გვაქვს საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში. მეცხოველეობის საქმის წინწაწევა შეუძლებელია, მითითებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, თუ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ნამდვილად არ მოჰკიდებს ხელს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ფერმებში შექმნილი არ არის კვების მრავალფეროვანი რაციონი. დაბალია ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების მოსავლიანობა, რაც იმას ადასტურებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ყველა ღონისძიებას არ ვახორციელებთ მათი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

№ 22 ბრიგადაში, რომელსაც ალექსა ჯიხოშვილი ხელმძღვანელობს, 1.300 ცხვარია. ბრიგადამ წელს მიღებული 710 სული ბატკნიდან 706 სული „ამოზარდა. მარტო გაზაფხულზე თითო სულ ცხვარზე 1,5 კილოგრამი მატყლი მიიღო, გეგმა კი 1,3 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ა. ჯიხოშვილ

მივაწოდოთ მომხმარებელს მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტები

როცა ნაკლოვანებებს ურიგდებიან...

თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატიდან ავტომანქანები დღეაქალაქის მოსახლეობისათვის დილიდან საღამომდე ეზიდებიან საქონლის, ღორის, ცხვრის ახალ ხორცს, ძეხვეულს...

მაგრამ ხდება ასეც:

თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ავტომანქანები დგანან ხორცკომბინატის კარიბჭესთან თუ ეზოში და იცდიან... გადის ერთი საათი, ორი, სამი, ოთხი... არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ხორცკომბინატის მესვეურები რატომღაც ურიგდებიან ამ მდგომარეობას. ასეთი უხეიერო სტილით მუშაობის შედეგი ძვირად უჯდება სახელმწიფოს. მაგალითად, მარჯვენა ნაპირის „თბილკვებვაჭრობის“ სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლების და ავტომანქანების ლოდინმა 10 თვის განმავლობაში ნორმის ზევით ასობით საათს მიაღწია.

მართალია, ხორცითა და ხორცის პროდუქტებით თბილისელების მომარაგების საქმეში საგრძნობი წვლილი შეაქვს მიქოიანის სახელობის თბილისის ხორცკომბინატს. აქ მრავლად არიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან დაკისრებული სამეცადინო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, მაგრამ ერთგვარი მიღწევებით დამტკბარი ხელმძღვანელები რატომღაც თვითდამშვიდებას მიეცნენ...

დირექტორი ამხ. კ. ქავთარაძე გარკვდა, როცა კომბინატის ვესტიბიულში გამოკიდებულ კედლის გაზეთში ამოიკითხა ერთ დღეს:

„დიაკლა 2.000 სული ცხვარი და ფეხები მთისავით დაგროვდა საამქროში. არ მოხდა მათი გაგზავნა საამქროდან, იმ დღეს დარჩა, იგი კვირა დღესაც დარჩა და ორშაბათს საამქროში შესვლა უკვე შეუძლებელი იყო, ვინაიდან იდგა საშინელი სუნი და გაჩენილი იყო მატლები“...

— რა ვქნათ, ხდება ასეც, — დაასკვნა დირექტორმა.

(ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ხორცკომბინატში ყველაფერი რიგზე როდია. დედაქალაქის მოსახლეობის ხორციითა და ძეხვეულით მომარაგების დროს სისტემატურად ირღვევა გრაფიკი, ნაკლებად იბრძვიან დანაკარგების აღმოსაფხვრელად, ადგილი აქვს სიგნალებისადმი წაყრუებას, ფართოდ არ ნერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას. ამის შედეგი არის ის, რომ კომბინატს მესამე კვარტალის გეგმა არა აქვს შესრულებული. გეგმის შესრულება რეალიზაციის დარგში 88,2, ხოლო ხორცის გადამუშავების დარგში 70,2 პროცენტით მათ სასახელოდ არაფერს ლაპარაკობს.

ხორცკომბინატის ხელმძღვანელები ხორცს თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებს თავისებურად უნაწილებენ. მაგალითად, ოქტომბერში მარჯვენა ნაპირის „თბილკვებვაჭრობისათვის“ ყოველდღიურად უნდა მიეწოდებინა სამუალოდ 5,2 ტონა ხორცი, მიაწოდა კი 3 ტონა. გასტრონომს კი ამავე პერიოდში 1,5 ტონის ნაცვლად მიაწოდა 2,5 ტონა ხორცი. ასეთი ფაქტები ერთეული როდია. დამახინჯებებია აგრეთვე რაიონებიდან ხორცკომბინატში მიყვანილი პირუტყვის ჩაბარება-გაფორმების საქმეშიც.

როგორც ჩანს, ხორცკომბინატის დირექცია და პარტიული ბიურო (მდივანი ვ. გერლიანი) მუშაობის ასეთ უხეიერო სტილს შერიგებიან, ხოლო საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო და პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიონული კომიტეტი გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

• • •

ყოველდღიურად იზრდება თბილისის მშრომელთა მოთხოვნილება საკონდიტრო ნაწარმზე. საბჭოთა მომხმარებელი სულ უფრო ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის საკონდიტრო ნაწარმს მოითხოვს, მაგრამ საქპურტრესტის თბილისის სავაჭრო მაღაზიები ყოველთვის ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნებს.

მომხმარებლები უკმაყოფილონი გამობრუნდნენ პლეხანოვის პროსპექტის № 114 სახლში მოთავსებულ თბილპურვაჭრობის მაღაზიიდან. ისინი მოითხოვდნენ მაღალხარისხოვან ტორტს და სხვა საკონდიტრო ნაწარმს.

— ერთი თვეა ცეკავშირიდან კვერცხი არ მიგვიღია. ეს აფერხებს ტორტისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის გამოშვებას, — განაცხადა საფუნთუშეეაკონდიტრო № 17 საცხობის გამგემ ამხ. კ. ცხვირავაშვილმა. მართლაც, შემოწმებით გამოირკვა, რომ საქპურტრესტის თბილისის საცხობებში კვერცხის უქონლობის გამო ფერხდება სათანადო საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება.

ცეკავშირის დამზადების სამმართველოს (უფროსი ამხ. ფურცელაძე) კი მიაჩნია, რომ თბილისის კვერცხით მომარაგების 9 თვის გეგმა, რესპუბლიკის კვერცხით მომარაგების გეგმის შესრულებასთან (89,4 პროცენტი) შედარებით, შესრულებულია დამაკმაყოფილებლად (96,5 პროცენტით). ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ პარალელის გავლება ჩამორჩენილ უბანთან მათ კარგ მუშაობას არ მოწმობს.

კვერცხის დამზადებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ახმეტის, სიღნაღის, ქარელის, კაჭრეთისა და სხვა რაიონები. ამავე დროს საკმაო რაოდენობით არ ხდება კვერცხის შემოზიდვა ჩვენი სამშობლოს სხვა რესპუბლიკებიდან და რაიონებიდან. საჭირო იქნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო და ცეკავშირი მეტი გულისყურით მოეკიდონ ამ საქმეს.

სავაჭრო ორგანიზაციების, სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა ამოცანაა ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, თავდადებული შრომის გზით პირნათლად შეასრულონ მთავრობისა და პარტიის მიერ დასახული ამოცანები, მეტი რაოდენობით მიაწოდონ მოსახლეობას ხორცი და ხორცის პროდუქტები, ერბო-კარაქი, კვერცხი, საკონდიტრო ნაწარმი და სხვა სასურსათო საქონელი.

ა. გოცირიძე, ვ. მებუკე.

სურათზე: თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელის“ მოწინავე მფუთავი ე. მაღალაშვილი ყუთებში აწყობს კაზმულ ნაკეთობას.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

7 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საგნები

საგალანტერიო მაღაზიებში ხშირად ვხვდებით ღამაზად ნაკეთებ საგალანტერიო ნაწარმს. ეს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის საგალანტერიო ნაწარმის ფაბრიკის პროდუქციაა.

ფაბრიკის საამქრები უშვებენ სპორტულ კოსტიუმებს, შარვლებს, მამაკაცის ხალათებსა და თეთრეულს, ყელსახვევებს, ცხვირსახოცებს, ლოგინის თეთრეულს, ღილებს, სავარცხლებს და სხვ. ნოემბრის შუა რიცხვებამდე გამოშვებულია 7 მილიონ 22 ათასი მანეთის ფართო მოხმარების სხვადასხვა საგნები, რითაც წლიური დავალება შესრულებულია.

აქ ახლახან აითვისეს პლასტიკატის სუფრების, ორგანული შუშისაგან ახალი სახის ღილებისა და საოჯახო ჩანთების გამოშვება.

ფართო მოხმარების საგნების გამოშვება მომავალი წლიდან საგრძნობლად გაიზრდება. ახლად აითვისებენ და მასობრივად გამოუშვებენ ავეჯის ფურნიტურას, სასაპნეებს, ქალის წინდების დასაკემს მოწყობილობას, ფანჯრის ფარდებს და სხვ.

საკოლმეურნეო მიღწევათა დათვალიერება

ახმეტაში მოეწყო რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი საზოგადოებრივი მეცხოველეობის მიღწევათა ჩვენებას. მნახველებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სოფელ ზემო ალვანის სტალინისა და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობების მიერ წარმოდგენილმა თუშური ჯიშის ცხვარმა.

სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოფენაზე წარმოადგინა „ბრაუნშვეიგის“ ჯიშის კამბოსტო, რომლის თვითეული თავი 15 კილოგრამს იწონიდა.

მნახველთა ყურადღება დაიმსახურა სოფელ ოქიოს კოლმეურნეობის წევრის მიჩურინელ თ. ნახუცრიშვილის მიერ დამყნილი ვაშლის, ვსნლისა და ატმის ექსპონატებმა, რომლებიც მაღალი თვისებებით ხასიათდება.

გამოფენა დიდძალმა ხალხმა დაათვალიერა.

ი. ქიბროლაშვილი.

წერილები redaqciasa

როდის ექნებათ კოლმეურნეებს განათება?

საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 1949 წელს დიდი ენთუზიაზმით და სიხარულით დაიწყეს 120-ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ყვირილაზე.

ელექტროსადგურის მშენებლობა, რაზეც 700.000 მანეთზე მეტი დაიხარჯა, დამთავრდა.

პროექტის თანახმად მაღალი ძაბვის ხაზი პირველად სოფელ ჯალაურთაში უნდა მოსულიყო, აქვე უნდა აგებულიყო სამი კაპიტალური კიოსკი ტრანსფორმატორებისათვის, პირველი შუქიც ჯალაურთელ კოლმეურნეებს უნდა მიეღოთ.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. ნოზაძემ მაღალი ძაბვის ხაზს მიმართულება თავისი სოფლისაკენ — მოძვისაკენ მისცა (ამ სოფლის კოლმეურნეობა შემდეგ შეუერთდა ჯალაურთის კოლმეურნეობას). მოძვში აგებულ იქნა კაპიტალური კიოსკი. პირველი განათება თავმჯდომარის ოჯახმა, მისმა მეზობლებმა და ნაცნობ-მეგობრებმა მიიღეს.

თავმჯდომარის ამ თვითნებურმა საქციელმა კანონიერი უკმაყოფილება გამოიწვია ჯალაურთელ კოლმეურნეთა შორის. ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ის აძლიერებს, რომ ჯალაურთაში დღემდე მხოლოდ და მხოლოდ ერთი ღია კიოსკია აგებული. განათება მარტო კოლმეურნეობის კანტორაში და იქვე რამდენიმე მახლობელ ოჯახშია მიყვანილი. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობის კანტორის ეზოში აუარებელი ბოძი ყრია, ლპება და იფლანგება. უყურადღებოდ არის მიტოვებული ელექტროგაყვანილობის მონტაჟისათვის საჭირო მასალებიც. 600-ზე მეტი კოლმეურნე კი განათების მოლოდინშია...

საინტერესოა, რას ფიქრობენ ჯალაურთის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია? როდემდის დარჩებიან კოლმეურნეები უშუქოდ?

კლ. ასანიძე,
საჩხერის რაიონული გაზეთის redaqciis მდივანი.

ისევ საგაზეთო ვიტრინების შესახებ

ჯერ კიდევ გასულ წელს გაზეთმა „პრავდამ“ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში საგაზეთო ვიტრინებს საკმაო ყურადღება არ ექცევა. ამ საკითხზე რესპუბლიკის პრესაშიც დაიწერა, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს გაუმჯობესება არ ეტყობა.

თბილისში ცოტაა საგაზეთო ვიტრინები, ხოლო რაც არის, მათაც მოვლა-პატრონობა აკლია. ბევრი ვიტრინა ულამაზოდ არის გაფორმებული, შეუღებავია, მინები ჩამტვრეული ან სრულებით არა აქვს, ჩარჩოები დამპალია. მაგალითად, უნივერსიტეტის ქუჩაზე, ტოპოგრაფიული ტექნიკუმის წინ, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ვიტრინას ჩამტვრეული აქვს მინა, მისი მავთულის ბადეც გაფუჭებულია. პეროვსკაიასა და საჯაიას ქუჩების კუთხეში მოთავსებულ ვიტრინას არც მინა აქვს, არც ბადე და არც წარწერა. ასეთსავე მდგომარეობაშია ბევრი საგაზეთო ვიტრინა 26 კომისრის სახელობის რაიონის ტერიტორიაზე.

კიროვის პარკში, პლეხანოვის პროსპექტზე № 115 სახლთან, ბაღდათის ქუჩაზე ვიტრინების ჩარჩოები დამპალია. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია საგაზეთო ვიტრინა მოედანზე ბარათაშვილის აღმართის დასაწყისთან. მას მინები ჩამტვრეული აქვს, ხოლო თვით ვიტრინა ნახევრად წაქცეულია.

იმის ნაცვლად, რომ ქალაქში გადიდდეს საგაზეთო ვიტრინების რაოდენობა, ზოგან მათ კიდევაც აუქმებენ. მაგალითად, ლენინის ქუჩაზე, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობის წინ მოწყობილ ვიტრინას რატომღაც ჩარჩო ჩამოხსნეს. ვიტრინიდან ბოძებიღა დარჩა. ასევე გაუგებარი მიზეზების გამო გააუქმეს ვიტრინები მელიქიშვილის ქუჩაზე და რუსთაველის პროსპექტზე შრომის სასახლის წინ.

არის შემთხვევები, როდესაც, საგაზეთო ვიტრინებში გაზეთის ახალი ნომრის დროულად გამოკვრას არავითარი ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს უცხო ენათა ინსტიტუტის შენობის წინ ვიტრინაში გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ 9 ოქტომბრის ნომრები იყო გამოკრული. კიროვის სახელობის პარკში გაზეთ „იზვესტიას“ ვიტრინაში გამოკრული იყო ორი გვერდი 22 ოქტომბრის ნომრისა, ხოლო ორი — 23 ოქტომბრისა. ასეთ უყურადღებობის ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

ქალაქში საგაზეთო ვიტრინების კარგად მოწყობისათვის, იქ გაზეთების ახალი ნომრების დროულად გამოკვრისათვის ზრუნვა პარტიის რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების უშუალო მოვალეობაა. ამ საქმეს მათ ყოველდღიური კონტროლი უნდა გაუწიონ.

ი. ჩიტაშვილი,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

თბილისში ახალი ... კარგი კინოთეატრი

თელავი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, დღეს განახლებული ქალაქია. თელავში მუშაობს აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა და საგრენაჟო საწარმო, დასასრულს უახლოვდება ფიქალფხვნილის დიდი ქარხნის მშენებლობა. პედაგოგიურ ინსტიტუტში, ექვს საშუალო, ერთ რვაწლიან, საფერძლო და საბუხჰალტრო სკოლებში ათასობით ახალგაზრდა სწავლობს. ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო არტელების საწარმოებში 500-ზე მეტი კაცი მუშაობს, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ორასამდე ექიმი და ექიმის თანაშემწე ემსახურება. ასეთია ქალაქის კულტურული ცხოვრების არასრული სურათი. ამასთან, სამწუხაროდ, არის ერთი შეუსაბამობა, რომელსაც ქმნის კინოთეატრის უხეიერო შენობა. ეს შენობა ოდესღაც თავლად აუშენებიათ. შემდეგ იგი გამოყენებული ყოფილა გარაჟად, საწყობად, ამჟამად კი იქ... კინოთეატრია!

რაიონის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე დააყენა ზემდგომი ორგანოების წინაშე საკითხი თელავში კინოთეატრის შენობის აგების შესახებ, მაგრამ დღემდე არავითარი შედეგი არ ჩანს.

დროა, ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. თელავს უნდა ჰქონდეს საბჭოთა ქალაქისათვის შესაფერი, არქიტექტურულად კარგად გაფორმებული კინოთეატრის შენობა.

ა. გვენცაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
გ. ჩანგაშვილი,
ასპირანტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საღგომების მშენებლობას აჭიანურებენ“

„კომუნისტის“ 2 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბორჯომის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში პირუტყვის საღგომების მშენებლობას აჭიანურებენ.

საქართველოს კ. პ. ბორჯომის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და სწორად ცნო გაზეთის კრიტიკა. რაიკომის ბიურომ რჩევა მისცა სოფელ ტბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას მოხსნას კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან ა. კახაძე, რომელიც უპასუხისმგებლოდ მოეპყრო და წლითან აჭიანურებდა პირუტყვის საღგომის მშენებლობას. სოფელ ქვაბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხაჭაპურიძე გაფრთხილებულ იქნა მომდინარე წელს დაამთავროს პირუტყვის საღგომის მშენებლობა.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობებში პირუტყვის საღგომების მშენებლობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„სიყვარული გარიჟრაჟზე“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

რამდენიმე წლის წინათ შეწყდა გამოჩენილი უკრაინელი მწერლის, თავდადებული პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის იაროსლავ გალანის მგზნებარე გულისცემა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე გალანი თავისი ბასრი კალმით იბრძოდა კათოლიკური ეკლესიის, ბნელეთისმოციქულების, ფაშიზმის წინააღმდეგ. მისი ბრწყინვალე პოლიტიკური პამფლეტები და ფელეტონები, მოთხრობები და პიესები ამხილებდნენ ხალხის მტრებს, მოუწოდებდნენ მშრომელებს ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის საბრძოლველად.

„მუდამ შევასრულებ ჩემს კლასობრივ ვალს და ულმობლად ვიბრძოლებ აშკარა და ფარული ფაშიზმის წინააღმდეგ“, — წერდა ი. გალანი ჯერ კიდევ 1931 წელს.

სისხლით შეფერილია ფურცლები გალანის უკანასკნელი ნარკვევისა „განთავისუფლებული ადამიანის სიდიადე“, რომელსაც მწერალი ამთავრებდა სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთ უკრაინაში შემოპარულმა, ამერიკული იმპერიალიზმის საიმედო დასაყრდენის — ვატიკანის მოსყიდულმა ბკვლელებმა მას სიცოცხლე მოუსწრაფეს. მომავლის მტკიცე რწმენით არის გამსჭვალული ამ ნარკვევის ყოველი სტრიქონი.

„ბრძოლის შედეგი დასავლეთ უკრაინის ოლქებში გადაწყვეტილია, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. ამჯერად ეს არის ბრძოლა მოსავლისათვის, საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის. სიძნელეები არის, ზოგჯერ დიდიც: ჯერ კიდევ ბევრი ვიგინდარა და გარეწარი გვედება ფეხში, მაგრამ ცხოვრება, მშვენიერი საბჭოთა ცხოვრება ძლევამოსილად მიდის წინ და ქმნის ახალ სიმღერებს, ახალ ლეგენდებს, რომლებშიც მოჩანს განთავისუფლებული ადამიანის სიდიადე“.

მწერლის უკანასკნელი ნაწარმოების ეს შესანიშნავი სიტყვები შეიძლება ეპიგრაფად წარვუმძღვაროთ მისსავე პიესას „სიყვარული გარიჟრაჟზე“, რომლის დადგმაც ახლახან განახორციელა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა.

ეს პიესა გალანს უკარნახა თვით ცხოვრებამ, შთაგონა იმ გრანდიოზულმა გარდაქმნებმა, რაც განიცადა საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე დამდგარმა მისმა მშობლიურმა დასავლეთმა უკრაინამ.

პიესის მოქმედება წარმოებს კარპატისმხარის ერთ პატარა სოფელში, გუცულშჩინის ახლოს, 1949 წლის გაზაფხულზე. კოლმეურნეობაში ახლადგაერთიანებული გლეხები პირველი თესვისათვის ემზადებიან. მტრები, რომლებიც ცოტანი როდი არიან, ყოველ ღონეს ხმარობენ ამ კამპანიის ჩასაშლელად, მაგრამ მათი ცდა ამაო და განწირულია.

კონფლიქტის დედააზრში ღრმად ჩაწვდომა, ცხოვრების ნამდვილ წინააღმდეგობათა თანმიმდევრული, გაპედული გამოვლინება ახასიათებს ამ საინტერესო, პოლიტიკურად მძაფრ დრამას. გალანმა შექმნა ცოცხალი, დამაჯერებელი სახეები, შეურიგებელ ბრძოლაში შეაჯახა ერთმანეთს თავისი გმირები. პიესის ყველა მოვლენა, პერსონაჟთა ყოველი ნაბიჯი აწონილ-დაწონილია, სიუჟეტი უაღრესად დინამიკურად ვითარდება. პიესის მოქმედება, რომელიც მხოლოდ ერთ დღეღამეს მოიცავს, იშლება ერთსა და იმავე გარემოში — ძველი კომუნისტის აგრონომ მიკოლა ვორკალიუკის ოჯახში. თითქმის ყველა მოქმედი პირი ერთმანეთის ნათესავია. მოქმედების დროისა და ადგილის ასეთი ლოკალიზაცია მოვლენებს უდიდეს დაძაბულობას ანიჭებს.

ამ რთული, ღრმად დრამატული ნაწარმოების დადგმა იოლი საქმე როდი იყო, მაგრამ ახალგაზრდა რეჟისორმა ლილი იოსელიანმა წარმატებით დაძლია მის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანა. რეჟისორმა თავიდან აიცილა პიესისათვის დამახასიათებელი ერთგვარი მელოდრამატულობა და შექმნა პოლიტიკურად მახვილი, იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლი. რეჟისორისა და შემსრულებლების მთავარი ყურადღება გამახვილებულია იქითკენ, რომ გახსნან გმირების ხასიათები, ლოგიკურად და თანმიმდევრულად გვიჩვენონ მათი ურთიერთდამოკიდებულების განვითარება.

აღსანიშნავია ახალგაზრდა რეჟისორის გემოვნება, სცენიური გარემოს საუცხოო შეგრძნება; ყურადღებას იპყრობს სპექტაკლის მკაფიო, გაბედული მიზანსცენირება, მოქმედების სიმძაფრე, დრამატული მომენტების ლოგიკური ხაზგასმა.

ავტორისა და რეჟისორის შთანაფიქრის საუკეთესოდ გახსნას შესანიშნავად უწყობს ხელს ი. სუმბათაშვილის მხატვრული გაფორმება. კომპოზიციურად საუკეთესოდ არის გადაწყვეტილი ამ ერთადერთი ოთახის დეკორაცია, სადაც სამივე მოქმედება მიმდინარეობს. მხატვარმა შექმნა უაღრესად რეალური გარემო, რომელშიც მსახიობები სავსებით თავისუფლად გრძნობენ თავს.

როგორც იდეური მიზანსწრაფვის, ისე მხატვრული მთლიანობის მხრივ სპექტაკლის ერთ-ერთი თავარი გმირია სერგო ზაქარიაძის მიერ განსახიერებული ძველი კომუნისტის აგრონომ მიკოლა ვორკალიუკის სახე. მიკოლა, მისი მეგობარი ივანე ნეგრიჩი და ივანეს შვილი სიმონი საკოლმეურნეო მოძრაობის წამომწყებნი და მეთაურები არიან.

რბილი იუმორით გაცისკროვნებულ, მიმზიდველ ადამიანურ სახეს გვიხატავს ს. ზაქარიაძე. ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მთელი რიგი სცენები, სადაც მსახიობი თავის შემოქმედებითს პალიტრაზე სულ ახალ და ახალ ფერებს პოულობს. ასეთია ეპიზოდი შეპყრობილ ივანე ნეგრიჩთან მისი საუბრის ეპიზოდი, სადაც მიკოლა-ზაქარიაძე შთაგონების დიდ ძალას იჩენს; ასეთია სცენა, როდესაც მიკოლა შვილის გამცემლობას გაიგებს. რა გაშმაგებით ჩადგება იგი ლუკას ოთახის კარში, თითქოს ცდილობს თავისი მკერდით დაიცვას შვილი საშინელი ბრალდებისაგან; როგორ იხრება წელში ფაქტების სიმძიმის გამო, რომ შემდეგ კვლავ გაიმართოს — მაღალი, ამაყი. მაყურებელი გრძნობს, რომ ოსვენციმში ნატანჯი ეს ადამიანი არ დაინდობს მტერს, ვინც უნდა იყოს იგი.

ახალგაზრდა რეჟისორისა და ყველა შემსრულებლის დიდი მიღწევაა პარასკას პანაშვიდის დრამატული ფინალური სცენა. ს. ზაქარიაძე აქაც ღრმად ადამიანური და გულწრფელია. ყველაფერი — თუ როგორ შემოიტანს მიკოლა მკვდარ პარასკას, როგორ ანგარიშმიუცემლად აანთებს სანთლებს, მერე მწარე ფიქრებში წასული ოდნავ გასაგონად, გაურკვევლად წამოიწყებს პარასკას საყვარელ სიმღერას, — აღელვებს და გულში სწვდება მაყურებელს.

გამოჩენილი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის მიერ შექმნილ ქალთა მდიდარ გალერიაში არც ისე ბევრია თანამედროვეთა სახეები. მით უფრო საინტერესოა მსახიობის ყოველი ახალი ნამუშევარი ამ მიმართულებით. ვ. ანჯაფარიძე ღრმად ჩასწვდა სოფლის მასწავლებლის ვარვარა პეტრიჩის რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათს, დაგვიხატა ამ კეთილშობილი ქალის უაღრესად ემოციური პორტრეტი.

შესანიშნავად გადმოსცემს მსახიობი თავისი გმირის გრძნობათა მთელ გამას — მგზნებარე სიყვარულით გატაცებას, შემდეგ ძვირფასი ადამიანის მიმართ დაეჭვებას, ბოლოს ტრაგიკულ ფინალს, როდესაც ვარვარა საკუთარი ხელით კლავს მტერსა და მოღალატეს.

პიესაში დიდმნიშვნელოვანია ლუკა ვორკალიუკის სახე. გიორგი შავგულიძის ლუკა ხალხის უაღრესად საშიში მტერია. გარეგნული მიმზიდველობა, თითქოს მელანქოლიური იერი, მუსიკით გატაცება ფარავს ფაშისტი მკვლელის ნამდვილ სახეს. ლუკას ხასიათის შესაქმნელად გალანმა გამოიყენა სხვადასხვა ფერი. ლუკა გატაცებულია სიყვარულით ვარვარასადმი, ამიტომ ყველაზე მეტად ეშინია მისი მართალი, პირდაპირი თვალებისა, ცდილობს ეჭვი გაუფანტოს მას. ამ დრამატულ მომენტებს მსახიობი მაღალი ოსტატობით განასახიერებს.

ჭეშმარიტად დრამატული და ღრმად დამაჯერებელია აკ. კვანტალიანის მიერ შექმნილი მოხუცის სტეფან პეტრიჩის— ძველი ცხოვრების აჩრდილის, სოფლის ყოფილი კულაკის მხეცური ბუნების გამომხატველი სახე. მკაფიოდ, რეალისტურად გადმოსცემს იგი მის ანგარებითს, სასტიკ ხასიათს. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა ხალხის მტრების — ბებერ პეტრიჩისა და მისი შვილიშვილის ლუკას საუბარი უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც ორივე ამეღავნებს თავის ნამდვილ მგლურ სახეს.

მედეა ჯაფარიძის შემოქმედება იმის მკაფიო მაგალითია, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია შემოქმედს საქმისადმი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის შედეგად. მუყაითი შრომით, ხელოვნებისადმი პრინციპული, პროფესიული დამოკიდებულებით მედეა ჯაფარიძე ყოველ წელს ახალ წარმატებას აღწევს. პატარა, ობოლი გოგონას პარასკას ტრაგიკული ბედი მსახიობმა თავის ბედად გაიხადა. იგი თამაშობს ისე სადად, ისეთი წრფელი შინაგანი მღელვარებით, რომ მაყურებელს ბოლომდე სჯერა მისი.

ზოგჯერ სცენაზე არის პასუხსაგები მომენტები, როდესაც დარბაზში მსხდომნი ერთგვარ შიშს გრძნობენ, რომ მსახიობმა შთაბეჭდილება არ წაახდინოს, გრძნობას არ გადააჭარბოს. ასეთია სცენა, სადაც პატარა პარასკა ეთამაშება მიკოლას, მისთვის მეორე მამა რომ გამხდარა. მაგრამ გაბედული, დინამიკური მიზანსცენისა და რთული ემოციური ამოცანის მიუხედავად, მსახიობი თავისუფლად და ბუნებრივად მოქმედებს, ნამდვილ ოსტატობას ამჟღავნებს.

მნიშვნელოვან მხატვრულ გამარჯვებას მიაღწია სესილია თაყაიშვილმა შტეფან პეტრიჩის ცოლის — სნეულებებია ოლენას როლში. სამი მოქმედების მანძილზე ბებია ოლენა ხაწოლიდან არ გადმოდის; იგი სიკვდილისათვის ემზადება და მთელი არსებით სწადია მოგდელს აღსარება უთხრას, საშინელი საიდუმლოება გაუმჟღავნოს. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ს. თაყაიშვილი აღსარების სცენაში, აგრეთვე სპექტაკლის ფინალში, სადაც იგი პარასკას დასტირის.

კოლორიტული და დამაჯერებელია კ. დაუშვილი კოლმეურნეობის თავჯდომარის ივანე ნეგრიჩის როლში. ცოცხალი, რეალისტური თამაშით მაყურებელთა მოწონებას იმსახურებს ვ. საყვარელიძე (ფოსტალიონი).

მამა იულიანე ჭეშმარიტების დაუცხრომელი მაძიებელია. მისი ძიებანი და ფიქრები, დიდი სიყვარული ადამიანებისადმი, ამავე დროს მტერთა საშინელი ბოროტმოქმედებანი, რომლებშიც იგი რწმუნდება, აიძულებენ მამა იულიანეს ანაფორა გაიხადოს და დაუკავშირდეს ახალი ცხოვრების მშენებლებს. ამ პიროვნების ხასიათის სირთულეს ამეღავნებს აგრეთვე ვარვარასადმი მისი ფარული სიყვარული, რასაც იგი ებრძვის, მალავს. ამ როლის შემსრულებელი გ. ტატიშვილი სახის გარეგნული ასახვის გზით წასულა. მიუხედავად მთელი რიგი ემოციურად წარმოსახული სცენისა (ლუკას გამცემლობის შესახებ ვარვარასთან მისი საუბარი, ოლენას აღსარების სცენა და სხვ.) მსახიობს აკლია გრძნობის სიღრმე, სისადავე.

დამაჯერებლობას მოკლებულია კომუნისტ სიმონ ნეგრიჩის სახეც. პიესაში ეს ჭკვიანი, მამაცი ადამიანია. ამიტომ ასე ეშინიათ მისი ლუკას და შტეფანს. მაგრამ მსახიობი ცაგარეიშვილი სათანადო ძალას ვერ იჩენს ამ კეთილშობილი, ძლიერი ადამიანის სახის შექმნაში, ვერ ჩასწვდომია სიმონის რთულ შინაგან სამყაროს, მისი მოქმედების იტკიცე ლოგიკას. საჭიროა თეატრმა მუშაობა განაგრძოს სპექტაკლისათვის ამ მნიშვნელოვანი სახეების სრულყოფისათვის.

მრავალმეტყველია სპექტაკლის ფინალი — მასწავლებელს გარს ეხვევიან მისი მოწაფეები, ვარვარას დაღუპული შვილობილის პარასკას მეგობრები. მაყურებელი გრძნობს — ისინი ვარვარას გადაატანინებენ საშინელ ტრაგედიას; სპექტაკლის ასეთი ოპტიმისტური დაბოლოება მოწმობს ახალგაზრდა რეჟისორის ჯანსაღ იდეურ-მხატვრულ კონცეპციას, შეესაბამება ი. გალანის ნაწარმოების დედაარსს — სიძნელეთა მიუხედავად „ცხოვრება, მშვენიერი საბჭოთა ცხოვრება ძლევამოსილად მიდის წინ“.

„სიყვარული გარიჟრაჟზე“ თეატრის სერიოზული შემოქმედებითი გამარჯვებაა. ეს სპექტაკლი განაგრძობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის საუკეთესო რეალისტურ ტრადიციებს, რომლის შემოქმედებითად განვითარებისათვის ბრძოლა მისი კოლექტივის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ლ. ბაგრატიონი.

საბჭოთა ბუქსირ „ხრაბრის“ კაპიტნის ე. ი. ზაიშნიკოვის ცნობა

ბუქსირი „ხრაბრის“ გემბანი, 20 ნოემბერი. როგორც გავიგე, 17 ნოემბერს ლონდონის მთელ რიგ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ თითქოს საბჭოთა საბუქსირო გემმა „ხრაბრომ“, რომლის მეთაური მე ვარ, პლიმუტის ნავსადგურის რეიდზე ·ყოფნისას 12 ნოემბერს ღამით არ გაუწია დახმარება ინგლისის სამხედრო საფესანტო გემის წყალში ჩაცვივნულ მეზღვაურებს და რომ თითქოს ბუქსირმა „ხრაბრომ“ პროეექტორი მიანათა მეზღვაურებს, რომლებიც იხრჩობოდნენ, მაგრამ არ ჩაუშვა კანჯო მათ გადასარჩენად.

ამასთან დაკავშირებით ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ინგლისის გაზეთების მიერ გავრცელებული აღნიშნული ცნობა მოგონილია და, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს შეული ჩამოაგდოს ინგლისელ და საბჭოთა მეზღვაურებს შორის.

ნამდვილად საქმე ასე იყო: 12 ნოემბერს ღამით პლიმუტის ნავსადგურის რეიდზე მდგომ ბუქსირ „ხრაბრისთან“ ორჯერ მოვიდა კანჯო, რომელშიც იჯდა ინგლისელი საზღვაო ოფიცერი. უკანასკნელმა გემის კაპიტნის თანაშემწეს აცნობა, რომ რეიდზე გადაბრუნდა კანჯო, რომელშიც იყო ავიაშზიდის ექვსი მატროსი, და შეეკითხა, ხომ არ აუყვანია ბუქსირს ვინმე წყალში ჩაცვივნულ მატროსთაგან.

ინგლისელ ოფიცერს აცნობეს, რომ ბუქსირ „ხრაბრის“ მეკავშირეებს არ დაუნახავთ კანჯოს გადაბრუნება და ადამიანების წყალში ჩაცვივნა; გემის პროეექტორებით „ხრაბრის“ დგომის რაიონის განათებისას არავითარი შემთხვევა არ ყოფილა აღმოჩენილი; არ ისმოდა აგრეთვე არავითარი ძახილი დახმარების შესახებ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მეზღვაურები მუდამ უწევენ დახმარებას გემებს, რომლებიც გაჭირვებაში არიან. ამ შემთხვევაში რომ საჭირო ყოფილიყო დახმარება, ბუქსირ „ხრაბრის“ ეკიპაჟი, ეჭვი არ არის, გაუწევდა მას.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

კამათი საგარეო პოლიტიკაზე

პარიზი, 21 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა კამათი მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. რადიკალების მორის ფორისა და დე ფელისის გამოსვლის შემდეგ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მთავრობის ეგრეთწოდებულ „ევროპულ“ პოლიტიკას, სიტყვა აიღო „რესპუბლიკური და სოციალური მოქმედების“ ჯგუფის წევრმა გენერალმა ბიიოტმა.

„ევროპის გაერთიანების“ პოლიტიკას მან უწოდა საბედისწერო პოლიტიკა „ბეცი ბიუროკრატიისა“, რომელსაც სურს საფრანგეთის ეროვნულ სუვერენიტეტზე სავსებით უარის თქმა. „თუ საფრანგეთმა საკუთარი პოლიტიკა არ განახორციელა, — თქვა მან, — იგი მკვდარ მუზეუმად გადაიქცევა“. ორატორმა მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრ ჟორჟ ბიდოს და უთხრა: „თქვენი პროექტები რომ მიიღონ, თქვენ საფრანგეთის უკანასკნელი წარმომადგენელი იქნებით“.

ლუსტონო-ლაკომ („გლეხთა დამოუკიდებელი ჯგუფი“) განაცხადა, რომ პარიზის ხელშეკრულების მუხლები, რომლებიც ქმნიან გერმანელთა ჯარების მიერ მშვიდობიან დროს საფრანგეთის ოკუპაციის პერსპექტივებს, შეუთავსებელია წინააღმდეგობის მოძრაობის ყველა მონაწილეთათვის.

„სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ წევრმა გენერალმა დე მონსანერმა ცხადყო, რომ „ევროპის არმიის“ მომხრეებს სურთ „ეგრეთწოდებული ევროპის თავდაცვის“ საფარველით მსხვერპლად მიიტანონ საფრანგეთის თავდაცვა.

მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერის გი მოლეს გამოსვლის შემდეგ, რომელიც ცდილობდა „ევროპის არმიის“ შექმნა გაემართლებინა გაცვეთილი მოსაზრებებით „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, ტრიბუნაზე ავიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბიდო. მაგრამ ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა გამოსვლა შეეწყვიტა, რის შემდეგ მისი სიტყვა წაიკითხა საგარეო საქმეთა სტატს-მდივანმა მორის შუმანმა.

ბიდოს სიტყვა მთლიანად აგებული იყო „ევროპის არმიის“ შექმნის პოლიტიკის გამართლებაზე. ბიდომ მხარი დაუჭირა პარიზის ხელშეკრულების ევროეწოდებულ „დამატებითის ოქმებს“, რომლებიც, მისი სიტყვით, „მოიწონა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ“.

ბიდომ აგრეთვე თქვა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ძალაში რჩება, მაგრამ რომ საფრანგეთი „უარს ამბობს დაარღვიოს ატლანტიკის სოლიდარობა“.

კამათის განგრძობა გადატანილია 24 ნოემბრისათვის.

დააპატიმრეს საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი გენუა ფრაშონი

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ დააპატიმრეს საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ერთ-ერთი გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი. მას ბრალდებად წაუყენეს „სახელმწიფოს საგარეო უშიშროების ხელყოფა“.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ინგლისში ამჟამად ამყოფება ამერიკის 30 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც ემსახურებიან ამერიკის დაახლოებით სამ ათეულ სამხედრო-საჰაერო ბაზას ინგლისის სხვადასხვა ნაწილში. ეწრთნა, რომელსაც ახორციელებენ ამერიკისა და ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები, ხშირად ზარალს აყენებს ინგლისის მოსახლეობას. ეს ინგლისის საზოგადოებრიობის ფართო წრეების სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

19 ნოემბერს პარლამენტის წევრთა ჯგუფმა თემთა პალატაში პროტესტი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკისა და ინგლისის თვითმფრინავებმა წვრთნის დროს რამდენჯერმე ჩამოაგდეს ბომბები სოფელ სოლტფლიტში (ლინკოლნშირი). კონსერვატორმა ოსბორნმა აღნიშნა, რომ სოფელი მნიშვნელოვნად დაზარალდა.

ლეიბორისტმა ჯ. ტეილორმა განაცხადა: „კარგი იქნებოდა, რომ ვთხოვოთ ამერიკელ სამხედრო პირებს ბომბების ჩამოყრა აწარმოონ თავიანთ ქვეყანაში.

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საკდესი). ლეიბორისტულმა ოპოზიციამ მოითხოვა, რომ ბერმუდესის თათბირამდე თემთა პალატაში გაიმართოს კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. 19 ნოემბერს მთავრობამ უარყო ოპოზიციის მოთხოვნა.

კრუშენკმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა თემთა პალატის მთავრობის უმრავლესობის სახელით, განაცხადა, რომ უფრო „მოხერხებულია“ გაიმართოს კამათი თათბირის შემდეგ.

„დეილი ჰერალდი“, აკრიტიკებს რა სარედაქციო სტატიაში მთავრობის გადაწყვეტილებას, კითხულობს: „რას წარმოადგენს მთავრობის პოლიტიკა და რატომ არ უნდა გამოთქვას თემთა პალატამ თავისი აზრი ამ პოლიტიკის შესახებ, სანამ ბერმუდესის თათბირი მიიღებდეს დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს?“.

ოგო ნეშკეს გამოსვლა როსტოკის მშრომელთა მიტინგზე

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც აღნ-ის სააგენტო იუწყება, როსტოკში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გამო გაიმართა ვერფ „ნეპტუნის“ მშრომელთა მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო ნუშკე. აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის დიდი ყოველმხრივი დახმარება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, ნუშკემ თქვა, რომ ამით საბჭოთა ხალხი ეხმარება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას, რაც შეიძლება მალე განახორციელოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ახალი კურსი.

ნუშკემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებისადმი თავის ნოტებში საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს გერმანელი ხალხის ინტერესებს, აშკარად ამხილებს ომის სულისჩამდგმელთა ფარისევლურ საქციელს და აქტიურად მოქმედებს გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის, მასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისათვის.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

ფხენიანი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება კანონის პროვინციის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ამერიკელ შეიარაღებულ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამი წლის განმათავისუფლებელ სამამულო ომში, ნათქვამია დადგენილებაში, კანონის პროვინციამ, რომელიც დიდხანს იყო ბრძოლების რაიონი, სხვა პროვინციებზე მეტად განიცადა გააფთრებული დაბომბვა, ზღვიდან არტილერიის დაშენა და ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარება. გაითვალისწინა რა ამ პროვინციის მოსახლეობის დიდი სიძნელეები, მინისტრთა კაბინეტმა შეიმუშავა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა ფართო პროგრამა. 1954 წელს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების მიზნით გამოყოფილია 100 მილიონი ვონი პროვინციაში კვებისა და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის, ქიმიური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ქარხნების აღდგენისათვის.

დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე საშენი მასალების გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას. დასახულია პროვინციის სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა სისტემა. უახლოეს ხანში შეიქმნება ახალი სახელმწიფო მეურნეობანი, მეცხოველეობის ფერმები, ცხენების გასაქირავებელი სადგური, აგრეთვე დამთავრდება დანგრეული სასოფლო-სამეურნეო უბნების აღდგენა. მთავრობა გლეხებს მნიშვნელოვანი რაოდენობით და იაფად მიჰყიდის მუშა პირუტყვს მეცხოველეობის სახელმწიფო ფერმებიდან. საგლეხო ბანკი გლეხებს მისცემს გრძელვადიან სესხებს სახლების მშენებლობისათვის და პირუტყვის შესაძენად.

გერმანიაში ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა სხდომა საჰაერო უშიშროების საკითხებზე

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბერლინში ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მე-10 სხდომა საჰაერო უშიშროების საკითხებზე.

ამერიკის დელეგაციას მეთაურობდა ავიაციის ბრიგადის გენერალი რ. ე. ბიბი, ინგლისისას — ავიაციის ვიცე-მარშალი ჯ. ჰ. ედვარდსჯონსი, საფრანგეთისას — ავიაციის დივიზიის გენერალი ლ. მონტრელე და საბჭოთა კავშირისას — ავიაციის გენერალ-მაიორი ფ. ს. გუდკოვი.

სხდომაზე განხილულ იქნა თვითმფრინავთა შორის საჰაერო სიგნალიზაციის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც შეთანხმებული არ იყო სამეფო ჯგუფში.

დელეგაციების მეთაურთა შორის აზრების გაცვლამ შესაძლებელი გახადა წარმატება ამ საკითხების შესწავლაში.

გადაწყდა შემდეგი სხდომა გაიმართოს ბერლინში ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის შენობაში. სხდომის დღე და დრო დამატებით დაწესდება.

საზოგადოება „შვეიცარია—სსრ კავშირის“ კონგრესი

ნევშატელი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნევშატელში გაიხსნა საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ მე-6 კონგრესი.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საზოგადოების ყველა სექციის 300-ზე მეტი დელეგატი.

დელეგატები და დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ მოწვევით კონგრესზე ჩამოსულ საბჭოთა დელეგაციას, რომელშიც შედიან პროფესორი ი. ანისიმოვი, პროფესორი ა. შაბანოვი და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი ლ. კისლოვი.

კონგრესის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დესპანმა შვეიცარიაში ამხ. მოლოჩკოვმა.

კონგრესი ორ დღეს გასტანს. კონგრესის დღის წესრიგშია: საზოგადოება „შვეიცარია-სსრ კავშირის“ ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის პ. კამენშის მოხსენება თემაზე. „მშვიდობა და მეგობრობა“. კონგრესის კომისიების მოხსენებანი; საბჭოთა ფილმის „სადკოს“ დემონსტრაცია; საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევნები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). 20 ნოემბერს პოლიტიკურ კომიტეტს უნდა განეგრძო განხილვა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხისა: „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ“ მაგრამ სხდომის გახსნისას კომიტეტის თავმჯდომარემ დაიმოწმა ის გარემოება, რომ გამოსვლის მსურველი არავინ იყო, და მოითხოვა ამ საკითხზე დისკუსიის შეწყვეტა და სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრა.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარის ამ უხეში მანევრით იფარება ამერიკა-ინგლისის ბლოკის მისწრაფება ჩაშალოს განხილვა საბჭოთა წინადადებებისა, რომელთა მიღება გენერალური ასამბლეის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიოზული წვლილი იქნებოდა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების საქმეში. აშკარა გალაშქრება საბჭოთა ამ წინადადებების წინააღმდეგ, რომ შემცირდეს შეიარაღება, აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი, ლიკვიდირებულ იქნას ბაზები სხვის ტერიტორიებზე და დაგმობილ იქნას ახალი მსოფლიო ომის და ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივების პროპაგანდა, ამ ბლოკის წარმომადგენლს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ამხილებდა როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მტრებს. ამიტომ ამერიკა-ინგლისის დაჯგუფების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს აირჩიონ „დუმილის ტაქტიკა“, მომართონ კენჭისყრის მანქანას და დუმილით უარყონ საბჭოთა წინადადებანი.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ა. ბარანოვსკიმ თავმჯდომარის მანევრის საპასუხოდ აღნიშნა: ის გარემოება, რომ ორატორთა სიაში 20 ნოემბერს გამოსვლის მსურველი არავინ არის, სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ მთელ რიგ დელეგატებს არ სურდეთ გამოსვლა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხი. უფრო უნდა ვვარაუდოთ, განაცხადა ა. ბარანოვსკიმ, რომ მთელი რიგი დელეგაციები სათანადო ყურადღებით ეპყრობიან ამ საკითხს, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას აინტერესებს. ზოგიერთ დელეგაციას, კერძოდ, უკრაინის სსრ დელეგაციას, საჭიროდ მიაჩნია შეისწავლოს ა. ი. ვიშინსკის მნიშვნელოვანი გამოსვლა და მოეშზადოს გამოსვლებისათვის, რისთვისაც, ბუნებრივია, საჭირო იქნება განსახილველი დრო. თუ კომიტეტი თავმჯდომარეს დაუჯერებს, ეს იქნება განხილვის ნორმალური წესრიგის დარღვევა და მთელ რიგ დელეგატებს წაართმევს შესაძლებლობას თავიანთი შეხედულება გამოთქვან ესოდენ სერიოზულ საკითხზე, რომელსაც ამჟამად პოლიტიკური კომიტეტი განიხილავს. უკრაინის სსრ წარმომადგენელმა აზრი გამოთქვა, რომ თავმჯდომარემ არ დახუროს ორატორების სია და არ შეწყვიტოს დისკუსია, არამედ შესაძლებლობა მისცეს დელეგატებს მოემზადონ თავიანთი გამოსვლებისათვის. კერძოდ, განაცხადა მან, უკრაინის სსრ დელეგაცია აპირებს განსახილველ საკითხზე გამოვიდეს ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე.

უკრაინის სსრ წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ პერუს დელეგატმა შეიტანა წინადადება, რომ დაიხუროს კომიტეტის სხდომა, ხოლო ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხზე გამოსვლის მსურველთა ჩაწერა შეწყდეს 23 ნოემბერს. კომიტეტმა მიიღო ეს წინადადება.

პანამინჯონის თათბირზე

პეკინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, 20 ნოემბერს გაიმართა ორი ქვეკომიტეტის სხდომა. ეს ქვეკომიტეტები შეიქმნა ამ საკითხების შესახებ ორივე მხარის თათბირზე, რომლებიც კორეის პოლიტიკურ კონფერენციას ეხება.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც განიხილავს პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობისა და მისი მოწვევის ადგილის საკითხს, გამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი კი სუკ ბოკი. მან გააბათილა უეზრო საბუთები ამერიკის წარმომადგენლისა, რომელმაც დაუშვა ცილისმწამებლური გამოხდომები საბჭოთა კავშირისა და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. კი სუკ ბოკმა ამხილა ამერიკელთა ცდა — წინასწარ განზრახვით შეეფერხონ პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა მასში ნეიტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობის წინააღმდეგ დაუსაბუთებელ მოსაზრებათა გამოთქმით.

კი სუკ ბოკმა კვლავ განმარტა კორეა-ჩინეთის მხარის წინადადების ხასიათი და მეორე მხარეს მოუწოდა შეისწავლოს და მიიღოს ეს წინადადებანი პოლიტიკური კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევის გაადვილების მიზნით.

შემდეგ გამოსულ ამერიკის წარმომადგენელ დინს არავითარი კონსტრუქციული წინადადება არ შეუტანია. მან კვლავ დაუშვა ცილისმწამებლური გამოხდომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობდა დაემახინჯებინა კორეა-ჩინეთის მხარის 17 ნოემბრის წინადადება, გამოთქვა მთელი რიგი დაუსაბუთებელი მოსაზრებანი და დასვა რამდენიმე კითხვა, რომლებზეც მოითხოვა პასუხი.

კი სუკ ბოკმა გააბათილა ამერიკის წარმომადგენლის ცილისმწამებლური მტაციებანი. მან აღნიშნა, რომ კორეა-ჩინეთის მხარის წინადადება სავსებით ნათელია და რომ კითხვები და მოსაზრებანი მეორე მხარისა, რომელმაც ამასთან დაამახინჯა ფაქტები, პასუხის ღირსი არ არის.

უკანასკნელი გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ხუან ხუა. მან აღნიშნა, რომ ამერიკის მხარემ შეთანხმების დარღვევით უარი თქვა ვამოცემულიყო ერთობლივი კომუნიკე მოლაპარაკების დღის წესრიგსა და პროცედურაზე შეთანხმების შესახებ, რომელსაც ორივე მხარემ 14 ნოემბერს მიაღწია. ხუან ხუამ პროტესტი განუცხადა მეორე მხარეს და მოითხოვა, რომ მან გამოაქვეყნოს ამ ერთობლივი კომუნიკეს სრული ტექსტი.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც განიხილავს პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის თარიღის საკითხს, ამერიკის მხარემ შეიტანა წინადადება, რომ თუ შეთანხმება ღღის წესრიგის სხვადასხვა პუნქტზე მიღწეულ იქნა 1 დეკემბრამდე, მაშინ პოლიტიკური კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნას ამ შეთანხმების მიღწევიდან არა უადრეს 28 ღღისა და არაუგვიანეს 42 ღღისა.

კორეა-ჩინეთის მხარემ აღნიშნა, რომ ამერიკის მხარე თავდაპირველად მოითხოვდა პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას 15 დეკემბერს, ახლა კი სურს უარი თქვას საკუთარ წინადადებაზე. ასეთი ტაქტიკის მიზანია გაჭიანუროს კონფერენციის მოწვევა, რათა განაგრძოს სამხედრო ტყვეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის საბოტაჟი.

საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრები საზღვარგარეთ

კოპენჰაგენი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვის „დინამოს“ გუნდს მეორე შეხვედრა ჰქონდა დანიის ფეხბურთელებთან. დინამოელები თამაშობდნენ ქალაქ ორხუსის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ. თამაში დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ოსლო, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ქალაქ სტავანგერის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა დასკვნითი ამხანაგური შეჯიბრება საბჭოთა და ნორვეგიელ ფეხბურთელებს შორის. ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდი შეხვდა ნორვეგიის 1953 წლის ჩემპიონს ფეხბურთში „ვიკინგის“ გუნდს. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

ამ შეჯიბრებით დამთავრდა „ზენიტის“ გუნდის თამაში საზღვარგარეთ. სულ საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს გუნდი 6-ჯერ შეხვდა ფინეთისა და ნორვეგიის ფეხბურთელებს და ყველა ეს შეხვედრა მოიგო საერთო ანგარიშით 25:2.

ბუქარესტი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბუქარესტში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები შეხვდნენ არმიის ცენტრალური სახლის გუნდს — რუმინეთის 1953 წლის ჩემპიონს. თამაში დამთავრდა ანგარიშით 1:0 რუმინეთის ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

ბუქარესტის მშრომელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ შეხვედრისადმი. თამაშს დაესწრო 80 ათასამდე მაყურებელი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1953 წლის ამონაგები)

ოფიციალური ცხრილი მოგებათა თამაშისა, ტირაჟისა, ობლიგაციათა

შედგა 1953 წლის 15 ნოემბერს ქალაქ ნიკოლაევში. მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100190	07*)	1.000
100196	1—50	200
100205	1—50	500
100294	04*)	1.000
100612	39*)	1.000
100715	13*)	1.000
100748	31*)	1.000
100811	24*)	1.000
100946	31*)	1.000
101047	1—50	200
101055	34*)	1.000
101089	04*)	1.000
101281	43*)	1.000
101326	1—50	500
101545	1—50	500
101669	45*)	1.000
101697	1—50	200
101781	16*)	5.000
101814	31*)	1.000
101850	1—50	200
101894	17*)	1.000
101941	19*)	1.000
102265	02*)	1.000
102306	1—50	200
102508	1—50	200
102689	1—50	500
102768	32*)	1.000
102774	35*)	1.000
102891	1—50	200
102900	47*)	1.000
102917	13*)	1.000
102925	33*)	5.000
102990	08*)	1.000
102994	18*)	1.000
103406	01*)	1.000
103440	1—50	200
103509	1—50	500
103864	1—50	500
104268	1—50	200
104284	1—50	200
104573	1—50	500
104689	09*)	1.000
104798	18*)	1.000
104994	1—50	200
105468	1—50	200
105496	43*)	1.000
105771	24*)	1.000
105871	1—50	500
106562	15*)	1.000
106716	1—50	200
106762	30*)	1.000
106850	1—50	200
107154	37*)	1.000
107460	18*)	10.000
107520	31*)	1.000
107604	36*)	1.000
107714	1—50	500
107759	14*)	1.000
107821	1—50	200
107825	1—50	200
107983	1—50	200
108006	1—50	500
108026	1—50	200
108204	35*)	1.000
108267	43*)	5.000
108820	13*)	1.000
108987	49*)	1.000
109042	20*)	1.000
109292	10*)	1.000
109741	1—50	200
109746	26*)	1.000
109749	47*)	1.000
109923	10*)	1.000
109940	1—50	500
109965	1—50	200
110046	1—50	500
110070	1—50	500
110159	34*)	1.000
110168	05*)	1.000
110180	50*)	5.000
110255	1—50	200
110365	45*)	1.000
110651	04*)	1.000
110736	37*)	1.000
110806	1—50	200
110929	15*)	1.000
111168	50*)	1.000
111224	1—50	200
111233	29*)	1.000
111275	1—50	500
111306	50*)	5.000
111479	1—50	200
111554	1—50	200
111767	1—50	500
112027	09*)	1.000
112054	23*)	1.000
112126	1—50	200
112172	10*)	1.000
112344	1—50	200
112398	25*)	1.000
112523	11*)	1.000
112743	1—50	200
112823	31*)	1.000
112898	01*)	1.000
112993	1—50	200
113247	14*)	1.000
113367	35*)	5.000
113439	17*)	1.000
113534	01*)	1.000
113586	50*)	1.000
113638	35*)	1.000
113675	42*)	25.000
113762	1—50	200
113776	1—50	200
113823	50*)	1.000
113881	45*)	1.000
113997	1—50	200
114047	27*)	1.000
114077	1—50	200
114151	44*)	1.000
114168	1—50	200
114243	03*)	1.000
114411	46*)	5.000
114416	36*)	1.000
114433	20*)	10.000
114583	1—50	500
114592	1—50	200
114801	15*)	10.000
115056	15*)	1.000
115154	17*)	1.000
115183	35*)	10.000
115275	1—50	200
115375	35*)	1.000
115383	1—50	200
115387	1—50	200
115527	28*)	1.000
115679	15*)	1.000
115688	33*)	1.000
115769	13*)	1.000
115815	04*)	10.000
115831	46*)	1.000
115850	1—50	200
115954	32*)	1.000
116025	1—50	200
116042	27*)	5.000
116069	44*)	1.000
116071	09*)	1.000
116126	28*)	1.000
116275	49*)	1.000
116338	31*)	1.000
116396	1—50	500
116668	30*)	1.000
116746	06*)	1.000
116753	1—50	500
116911	38*)	5.000
116947	37*)	1.000
117003	36*)	1.000
117263	34*)	1.000
117306	45*)	1.000
117691	1—50	200
117851	38*)	1.000
117900	28*)	1.000
117948	1—50	500
117982	50*)	1.000
118267	28*)	5.000
118602	21*)	1.000
118701	16*)	1.000
118951	19*)	1.000
119010	23*)	1.000
119023	24*)	1.000
119039	1—50	200
119058	07*)	1.000
119121	22*)	1.000
119200	1—50	200
119210	1—50	200
119280	02*)	1.000
119310	1—50	500
119334	1—50	200
119387	32*)	1.000
119484	15*)	1.000
119679	1—50	200
119707	31*)	1.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგების თანხაში შედის ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ნიკოლაევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ტ. ნაზარენკო

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი საფინანსო სამსახურის მრჩეველი ლ. ა. ვასილიევა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

26 ნოემბერს	დ. თორაძე— **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).
27 ნოემბერს	პ. ჩაიკოვსკი— **ევგენი ონეგინი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ემბატოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე — ფიზიოლოგიაში (ნახევარ განაკვეთზე). კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მეცნიერების დოქტორს ან კანდიდატს. მსურველთა განცხადებას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე,